GALT & TAGGART
BROKERAGE

(გაითვალისწინეთ, რომ ქართული თარგმანი მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის და არ გააჩნია იურიდიული ძალა)

გალტ ენდ თაგარტის საინვესტიციო მომსახურების პირობები

წინამდებარე ხელშეკრულება განსაზღვრავს პირობებს (შემდგომში მოიხსენიება როგორც „პირობები“), რომელთა მიხედვითაც „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში მოიხსენიება როგორც „გალტ ენდ თაგარტი“) მოგაწოდებთ საკუთარ სერვისებს, რათა მართოს თქვენი (შემდგომში მოიხსენიება როგორც „კლიენტი“) საინვესტიციო ანგარიში და ხელი შეუწყოს თქვენი დავალებების მიღებას და დამოუკიდებელი ბროკერისთვის გადაცემას, რომლებსაც თქვენ ინსტრუმენტების ყიდვაზე ან გაყიდვაზე საინვესტიციო მოდულის მეშვეობით განათავსებთ. ეს პირობები ვრცელდება მხოლოდ თქვენს საინვესტიციო ანგარიშთან დაკავშირებით დავალებების ზემოაღნიშნული გადაცემის სერვისებზე, როგორც ამას წინამდებარე პირობები ითვალისწინებს. „გალტ ენდ თაგარტი“ შესაძლებლობას აძლევს კლიენტებს, იყიდონ და გაყიდონ ინსტრუმენტები, მათ შორის აქციების წილადები (*ე.ი.* წილადობრივი აქციები), რჩევის მიცემის გარეშე, და გადააგზავნოს ეს დავალებები დამოუკიდებელ ბროკერთან ანგარიშსწორების, აღსრულებისა და მეურვეობისთვის. „გალტ ენდ თაგარტი“ არ გთავაზობთ არანაირ რჩევას და არ გაწვდით რაიმე რეკომენდაციას რომელიმე კონკრეტული ინსტრუმენტის ან ტრანზაქციის შესაფერისობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა მოიცავს რისკის ელემენტს. თქვენი ინვესტიციის ღირებულება შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს და თქვენ შეიძლება მიიღოთ თქვენს საწყის ინვესტიციაზე ნაკლები თანხა, ზოგ შემთხვევაში კი, მთლიანად დაკარგოთ საწყისი ინვესტიცია. ინსტრუმენტის მომგებიანობის ისტორიული მაჩვენებლები არ არის მისი მომავალი მომგებიანობის მაჩვენებელი. თუ არ ხართ დარწმუნებული რომელიმე საინვესტიციო გადაწყვეტილებაში, სასურველია, მოიძიოთ რჩევა დამოუკიდებელი პროფესიონალისგან.

„გალტ ენდ თაგარტთან“ საინვესტიციო ანგარიშის გახსნით თქვენ ადასტურებთ, რომ მიიღეთ, წაიკითხეთ და სრულად გაიაზრეთ ეს პირობები და ეთანხმებით, რომ მათი შესრულება სავალდებულოა თქვენთვის. ამ პირობების მიღებითა და მათზე თანხმობით, თქვენ ასევე ადასტურებთ, რომ რეგისტრაციის პროცესის დროს თქვენ მოგაწოდეს, წაიკითხეთ და დაეთანხმეთ დამოუკიდებელი ბროკერის მიერ განსაზღვრულ ყველა პირობას. „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, ნებისმიერი მიზეზით უარყოს ნებისმიერი კლიენტის განაცხადი ანგარიშის გახსნაზე.

GALT & TAGGART
BROKERAGE

1. **განსაზღვრებები - ტერმინების განმარტება**

1.1. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე პირობებში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს ექნება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები და ისინი შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით რიცხვში:

1.1.1. „ანგარიში“ ან „საინვესტიციო ანგარიში“ არის „გალტ ენდ თაგარტთან“ კლიენტის სახელზე გახსნილი საინვეტიციო ანგარიში, რომლითაც კლიენტი წარადგენს დავალებას (დავალებებს) საინვესტიციო მოდულის მეშვეობით.

1.1.2. „ანგარიშის ამონაწერი“ არის ანგარიშით განხორციელებული საკრედიტო ან სადებეტო ტრანზაქციების პერიოდული ამონაწერი;

1.1.3. „სამუშაო დღე“ არის ნებისმიერი დღე, რომელზეც ბანკები მუშაობენ საქართველოსა და აშშ-ში;

1.1.4. „კლიენტი“ არის ინდივიდუალური პირი, რომელიც „გალტ ენდ თაგარტის“ მომხმარებელია;

1.1.5. „საკომისიოების და გადასახდელების ცხრილი“ არის საკომისიოების, გადასახდელების, საპროცენტო და სხვა განაკვეთების ცხრილი, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული სერვისებთან მიმართებით, როგორც ამას „გალტ ენდ თაგარტი“ მიმდინარე საფუძველზე განსაზღვრავს. საკომისიოების და გადასახდელების ცხრილი ქვემოთ არის მოცემული, წინამდებარე პირობების დანართის სახით;

1.1.6. „დავალება“ არის საინვესტიციო მოდულის მეშვეობით კლიენტის მიერ გაცემული მითითება/ინსტრუქცია ინსტრუმენტის შეძენის ან გაყიდვის თაობაზე; დავალება შესაძლოა დადებულ იქნას კლიენტის მიერ საინვესტიციო მოდულში ტრანზაქციის ღირებულების ან შესაძენი/გასაყიდი ინსტრუმენტის რაოდენობის მიითითებით.

1.1.7. „ინფორმაციის გრძელვადიანი მატარებელი“ არის ნებისმიერი ინსტრუმენტი (მათ შორის, და არა მარტო, ელექტრონული ფოსტა), რომლითაც კლიენტს შეუძლია შეინახოს ინფორმაცია მომავალში წვდომისთვის დროის იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ამ ინფორმაციის მიზნებისთვისაა შესაფერისი, და რომელიც ამ შენახული ინფორმაციის უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობას იძლევა;

1.1.8. „დეფოლტის შემთხვევა“ არის შემთხვევა, როგორც ეს განმარტებულია მე-13 მუხლში;

1.1.9. „საინვესტიციო მოდული“ არის საინვესტიციო მოდული, რომელიც ხელმისაწვდომია მობილ-ბანკის მეშვეობით და რომელთანაც წვდომას კლიენტისთვის უზრუნველყოფს „გალტ ენდ თაგარტი“ წინამდებარე პირობების შესაბამისად;

1.1.10. „ინსტრუმენტი“ არის საინვესტიციო მოდულის მეშვეობით ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის წილადობრივი აქციები, რომლებზეც კლიენტს დავალების წარდგენა შეუძლია;

1.1.11. „სს საქართველოს ბანკი“ არის სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკი, რომლის სარეგისტრაციო ნომერია № 204378869 და რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქუჩა № 29ა, თბილისი, საქართველო;

1.1.12. „ბაზრის მუშაობის საათები“ არის ძირითადი სავაჭრო სესია დილის 9:30-დან აღმოსავლეთის დროით (ET) დღის 4:00-მდე აღმოსავლეთის დროით (ET);

1.1.13. „ბაზრის წესები“ არის ნებისმიერი იმ ბირჟის, საკლირინგო სახლის, სხვა ორგანიზაციის ან ბაზრის წესები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა, რომელიც მონაწილეობს ტრანზაქციის ან კონტრაქტის დადებაში, აღსრულებაში, ანგარიშსწორებაში ან რომელსაც

სხვაგვარად ეხება ზემოაღნიშნული ქმედებები, და ასეთი ბირჟის, საკლირინგო სახლის ან სხვა ორგანიზაციის თუ ბაზრის მიერ მასზე დაკისრებული ნებისმიერი უფლებამოსილების აღსრულება;

1.1.14. „გალტ ენდ თაგარტი“ არის სააქციო საზოგადოება გალტ ენდ თაგარტი, რომლის სარეგისტრაციო ნომერია № 211359206 და რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: პუშკინის ქუჩა № 3, თბილისი, 0105, საქართველო ან მისი ნებისმიერი ფილიალი;

1.1.15. „მობილ-ბანკი“ არის მობილური ბანკის აპლიკაცია, რომელსაც „სს საქართველოს ბანკი“ უზრუნველყოფს;

1.1.16. „ფასიანი ქაღალდები“ არის ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი ან სხვა აქტივი, რომელიც ინახება კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე;

1.1.17. „სერვისები“ არის მომსახურება, რომელსაც „გალტ ენდ თაგარტი“ უზრუნველყოფს წინამდებარე პირობების შესაბამისად;

1.1.18. „პირობები“ არის წინამდებარე „ზოგადი პირობები“, რომლებითაც რეგულირდება კლიენტთან ურთიერთობა კლიენტსა და „გალტ ენდ თაგარტს“ შორის;

1.1.19. „დამოუკიდებელი ბროკერი“ არის DriveWealth LLC, რომელსაც შეუძლია აღსრულების, ანგარიშსწორების და საბროკერო სერვისების მიწოდება;

1.1.20. „ვაჭრობის დადასტურება“ არის კლიენტისთვის შეტყობინება, რომლითაც დასტურდება კლიენტის დაშვება ტრანზაქციასთან;

1.1.21. „ტრანზაქცია“ არის კლიენტის ანგარიშთან დაკავშირებული საინვესტიციო გადაწყვეტილება, მათ შორის გადაწყვეტილებები ინსტრუმენტების შეძენაზე და გაყიდვაზე. ტრანზაქციებს კლიენტის მითითების შესაბამისად ახორციელებს „გალტ ენდ თაგარტი“ წინამდებარე პირობების დაცვით.

1.2. წინამდებარე პირობებსა და შესაბამის ბაზრის წესებს შორის რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბაზრის წესებს.

1.3. პირობებში ნახსენები ინდივიდუალური პირი გულისხმობს ინკორპორირებულ ორგანიზაციებს, არაინკორპორირებულ ასოციაციებს, პარტნიორობებს და ინდივიდებს, თუ შესაფერისია.

1.4. პირობებში მოცემული სათაურები და შენიშვნები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და არ ზემოქმედებს პირობების შინაარსზე და ინტერპრეტაციაზე.

1.5. პირობებში რომელიმე კანონის, რეგლამენტის, წესის ან მათი ამოქმედების მითითება გულისხმობს მათი ნებისმიერი საკანონმდებლო მოდიფიკაციის ან ხელახლა ამოქმედების მითითებას ანდა ასეთი კანონის, რეგლამენტის ანდა ამოქმედების საფუძველზე ნებისმიერი წესის ან ბრძანების მოდიფიკაციის მითითებას.

2. რისკის აღიარება

2.1. კლიენტი აღიარებს და აცნობიერებს, რომ ინსტრუმენტებით ვაჭრობა და მათში ინვესტირება უკიდურესად სპეკულაციურია, რასაც შეიძლება ძალიან მაღალი რისკი ახლდეს და ის

შესაფერისია მხოლოდ იმ პირებისთვის, ვისაც წაგების რისკი აღება შეუძლია; ასევე, რომ ფასიანი ქაღალდის, დარგის, სექტორის, ბაზრის ან ფინანსური პროდუქტის ისტორიული მაჩვენებლები არ არის მომავალი შედეგების ან მომგებიანობის გარანტია.

2.2. კლიენტი აღიარებს და აცნობიერებს, რომ ინსტრუმენტები, რომლებიც აქციებია და ხელმისაწვდომია საინვესტიციო მოდულის მეშვეობით, დაშვებულია ვაჭრობისთვის რეგულირებად ბაზარზე და თუ კლიენტს სურს თავისი ინსტრუმენტების გაყიდვა, ამ ინსტრუმენტების მყიდველი მოძიებული უნდა იქნეს საბაზისო ბაზარზე. მართალია, ზოგი ინსტრუმენტი ძალიან ლიკვიდურია, მაგრამ კლიენტი უნდა აცნობიერებდეს, რომ სხვა ინსტრუმენტები ნაკლებად ლიკვიდურია და არ არის გარანტირებული, რომ კლიენტის ინსტრუმენტების მყიდველი გამოჩნდება. ამიტომ, კლიენტმა შეიძლება ვერ შეძლოს საკუთარი ინვესტიციის რეალიზება ანდა რეალიზება რეალურ საბაზრო ფასად. ზოგ ვითარებაში, როგორიცაა ბაზრის მერყეობა ან კონკრეტული ინსტრუმენტით ვაჭრობის ანდა რომელიმე კონკრეტულ საბაზისო ბაზარზე ვაჭრობის შეჩერება ან სხვაგვარად შეზღუდვა, შესაძლებელია, კლიენტის ინსტრუმენტების მყიდველის პოვნა შეუძლებელი გახდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტი ვერ შეძლებს კლიენტის პოზიციების დახურვას. ინსტრუმენტებით, რომლებიც წილადობრივი აქციებია, არ შეიძლება ვაჭრობა რეგულირებად ბაზრებზე (როგორიცაა საჯარო ბირჟები) და ამიტომ, ლიკვიდურობის რისკი კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე სრული აქციებით ვაჭრობის შემთხვევაში. თუ კლიენტი ხურავს საინვესტიციო ანგარიშს, საჭირო იქნება კლიენტის ინსტრუმენტებში ყველა პოზიციის გაყიდვა საინვესტიციო მოდულის მეშვეობით, რის შედეგადაც, სავარაუდოდ, საკომისიოების გადახდა იქნება საჭირო. მიუხედავად ნებისმიერი საპირისპირო პირობისა „DriveWealth-ის მომხმარებლის ანგარიშის ხელშეკრულებაში“, არ შეიძლება დამოუკიდებელ ბროკერთან არსებულ კლიენტის ანგარიშზე არსებული ფასიან ქაღალდებისში პოზიციების გადაცემა სხვა ბროკერისთვის. გარდა ამისა, არ შეიძლება წილადობრივ აქციებში პოზიციების გადაცემა სხვა ბროკერისთვის და ისინი უნდა გაიყიდოს დამოუკიდებელი ბროკერის მეშვეობით.

2.3. კლიენტი აღიარებს და აცნობიერებს, რომ:

2.3.1. მას შემდეგ, რაც კლიენტი წარადგენს დავალებას ტრანზაქციისთვის, ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც გამომდინარეობს ამ აქტივის ღირებულების ან საბაზისო აქტივის მერყეობიდან, სრულად წარმოადგენს კლიენტის ხარჯსა და რისკს;

2.3.2. კლიენტის ანგარიში კლიენტის პასუხისმგებლობაა და კლიენტი გარანტიას იძლევა, რომ აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ფინანსურიც და სხვაგვარიც, აიღოს რისკი მის ანგარიშზე არსებულ ნებისმიერ და ყველა ტრანზაქციაზე და სხვა ნებისმიერ საკუთარ გადაწყვეტილებაზე;

2.3.3. კლიენტი არაორაზროვნად აცნობიერებს და აღიარებს, რომ „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ მოწოდებული არცერთი ინფორმაცია/მონაცემი არ არის რეკომენდაცია და/ან მოსაზრება და არ უნდა იქნეს აღქმული ასეთად. შესაბამისად, კლიენტი გამოთქვამს თანხმობას, არ დააკისროს „გალტ ენდ თაგარტს“ პასუხისმგებლობას იმ დანაკარგებზე, რომლებიც მას მიადგება „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ კლიენტის ანგარიშის განკარგვის შედეგად და

„გალტ ენდ თაგარტის“ ან მისი თანამშრომლების, პარტნიორების, ან წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის/რეკომენდაციის/მოსაზრების შედეგად;

2.3.4. კლიენტისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ არ განახორციელებს უწყვეტ მონიტორინგს, არც ინდივიდუალურად და არც ხელით, იმ ტრანზაქციებზე, რომლებთანაც კლიენტი უკვე დაშვებულია. აქედან გამომდინარე, „გალტ ენდ თაგარტს“ ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც ისე არ წარიმართა, როგორც კლიენტი ვარაუდობდა და/ან წარიმართა კლიენტისთვის საზიანოდ;

2.3.5. კლიენტი აღიარებს, რომ შეუძლებელია არსებობდეს მოგების გარანტია ან წაგებისგან დაცვა ინვესტირებისას; და

2.3.6. კლიენტი აღიარებს, რომ კლიენტს არ მიუღია ასეთი გარანტიები ან მსგავსი განცხადებები „გალტ ენდ თაგარტისგან“, დამოუკიდებელი ბროკერისგან, ან მათი ფილიალების თუ პარტნიორებისგან ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისგან, რომელთან ერთადაც კლიენტი მართავს „გალტ ენდ თაგარტის“ ანგარიშს.

3. კლიენტის კლასიფიკაცია

3.1. მოქმედი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, „გალტ ენდ თაგარტს“ თავისი კლიენტები ორ კატეგორიად ჰყავს კლასიფიცირებული: გამოცდილი ინვესტორები და საცალო ინვესტორები.

3.2. თუ „გალტ ენდ თაგარტს“ ამ საინვესტიციო ანგარიშის გახსნამდე აქვს კლიენტისთვის გამოცდილი ინვესტორის ან საცალო ინვესტორის სტატუსი მინიჭებული, ამ კლიენტს „გალტ ენდ თაგარტი“ იმავე სტატუსს მიანიჭებს. თუ „გალტ ენდ თაგარტს“ ამ საინვესტიციო ანგარიშის გახსნამდე კლიენტისთვის არა აქვს სტატუსი მინიჭებული და კლიენტი აკმაყოფილებს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს, კლიენტს შეიძლება მიენიჭოს გამოცდილი ინვესტორის სტატუსი, თუ კლიენტი არის:

3.2.1. ფინანსური ინსტიტუტის მმართველი ორგანოს წევრი (მათ შორის, დირექტორი), საბროკერო კომპანიის, სავაჭრო და/ან საინვესტიციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის მოადგილე, ანდა ამ მიმართულებით ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც უფლებამოსილია ასეთი ფინანსური ინსტიტუტის სახელით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციები; ან

3.2.2. პირი, რომელიც უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი ქონებით. კერძოდ, პირი, რომლის დადასტურებული აქტივები აჭარბებს 3 მილიონ ლარს ანდა ყოველწლიური შემოსავალი ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200,000 ლარს. გარდა ამისა, ინდივიდუალური მეწარმის შემოსავლის გაანგარიშებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მის სამეწარმეო აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯები.

3.3. თუ კლიენტი აკმაყოფილებს რომელიმე კრიტერიუმს ზემოთ ჩამოთვლილთაგან და მას სურს, მიენიჭოს გამოცდილი პირის სტატუსი, კლიენტი უნდა დაუკავშირდეს „გალტ ენდ თაგარტს“ და წარუდგინოს ამ კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტები. მანამ, სანამ კლიენტი არ წარუდგენს „გალტ ენდ თაგარტს“ შესაბამის დოკუმენტებს, კლიენტს არ მიენიჭება

გამოცდილი ინვესტორის სტატუსი და კლასიფიცირებული იქნება როგორც საცალო ინვესტორი. ინვესტორის სტატუსთან დაკავშირებით დამატებითი კომუნიკაცია, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება კლიენტის ავტორიზებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ანდა სხვა, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული საკომუნიკაციო საშუალებით.

შენიშვნა: გამოცდილი ინვესტორი არის პირი, რომელსაც აქვს საკმარისი გამოცდილება, ქონება ან შემოსავალი იმისთვის, რომ დაფაროს საინვესტიციო აქტივობით მიყენებული ფინანსური დანაკარგი.

4. სერვისები

4.1. წინამდებარე პირობების შესაბამისად და იმ პირობით, რომ კლიენტი ასრულებს წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებს, „გალტ ენდ თაგარტი“ განკარგავს კლიენტის ანგარიშს, აადვილებს მისი დავალების (დავალებების) მიღებას საინვესტიციო მოდულის მეშვეობით და გადასცემს ამ დავალებას დამოუკიდებელ ბროკერს აღსრულებისა და ანგარიშსწორებისთვის. „გალტ ენდ თაგარტი“ არ არის პასუხისმგებელი იმ დავალებების შესრულებაზე, რომლებსაც კლიენტი საინვესტიციო მოდულის მეშვეობით წარადგენს, არამედ „გალტ ენდ თაგარტის“ მოვალეობაა, გადასცეს კლიენტის დავალებები დამოუკიდებელ ბროკერს აღსრულებისა და შემდგომი გადაცემისთვის. „გალტ ენდ თაგარტი“ ვერ აკონტროლებს დავალებების აღსრულებას მას შემდეგ, რაც მათ დამოუკიდებელ ბროკერს გადასცემს და არ არსებობს გარანტია, რომ ან „გალტ ენდ თაგარტი“ ან დამოუკიდებელი ბროკერი მიიღებს დავალებას. დამოუკიდებელი ბროკერისთვის დავალების გადაცემის შემდეგ, „გალტ ენდ თაგარტი“ კარგავს კონტროლს მის აღსრულებაზე. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იძლევა არანაირ გარანტიას და არც სხვაგვარად კისრულობს პასუხისმგებლობას რომელიმე ტრანზაქციის დასრულებაზე საინვესტიციო მოდულზე, ასევე, არ არის პასუხისმგებელი ტრანზაქციების შედეგად ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების მოძრაობაზე.

4.2. „გალტ ენდ თაგარტი“ და დამოუკიდებელი ბროკერი იტოვებენ უფლებას, არ მიიღონ დავალება. კლიენტი აცნობიერებს და აღიარებს, რომ დამოუკიდებელ ბროკერს ნებისმიერი დავალება ან მითითება ესმის როგორც კონტროლი, თუ ეს არ ხორციელდება არაკეთილსინდისიერად, მიუხედავად ასეთ გაგებასა და ნებისმიერ შემდგომ დამადასტურებელ დოკუმენტს და/ან კომუნიკაციას შორის რაიმე შეუსაბამობისა.

4.3. დამოუკიდებელი ბროკერი ავალდებულებს კლიენტს, დადოს დამოუკიდებელი სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები), რომლითაც დარეგულირდება კლიენტის ურთიერთქმედება დამოუკიდებელ ბროკერთან. „გალტ ენდ თაგარტი“ არ არის ასეთი შეთანხმების მხარე და არა აქვს კონტროლი მის შინაარსზე. კლიენტი თანახმაა და აღიარებს, რომ კლიენტმა დამოუკიდებელ ბროკერთან ანგარიშები უნდა გახსნას ინფორმაციის სრული გამჟღავნების საფუძველზე და „გალტ ენდ თაგარტს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, გადასცეს

კლიენტის პირადი ინფორმაცია დამოუკიდებელ ბროკერს და კლიენტის სახელით წარუდგინოს დამოუკიდებელ ბროკერს განაცხადები ასეთი ანგარიშების გახსნაზე. „გალტ ენდ თაგარტთან“ საინვესტიციო ანგარიშის გახსნით კლიენტი ადასტურებს, რომ მიიღო, გაეცნო და დაეთანხმა დამოუკიდებელი ბროკერის შეთანხმებებს და შესაბამისი მონაცემების გამჟღავნებას.

4.4. დამოუკიდებელ ბროკერზე გავრცელდება გარკვეული წესები და რეგულაციები დავალებების აღსრულების ფორმასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ აღასრულებს დამოუკიდებელი ბროკერი დავალებებს, კლიენტს შეუძლია ნახოს დამოუკიდებელი ბროკერის შეთანხმებაში (შეთანხმებებში) და/ან იმ პირობებში, რომლებსაც კლიენტი დაეთანხმა საინვესტიციო ანგარიშის გახსნის დროს. კლიენტისთვის ცნობილია და ის აღაირებს, რომ დამოუკიდებელ ბროკერს შეუძლია დავალებები აღასრულოს საკუთარი შეხედულებისამებრ, და დამოუკიდებელ ბროკერს აქვს უფლება, არ აღასრულოს ტრანზაქცია, თუ ეს აუცილებელია, რომ არ დაირღვეს შესაბამისი კანონი ანდა თუ დამოუკიდებელი ბროკერი, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადაწყვეტს, რომ ასე მოქცევა გამართლებულია საფუძვლიანი რისკის არსებობით. წინამდებარე პირობების მიღებით, კლიენტი იძლევა გამოხატულ თანხმობას მისი დავალებების ასეთ ვითარებებში შესრულებაზე.

4.5. თუ რომელიმე ფასიანი ქაღალდი/ინსტრუმენტი ამოღებულია დამოუკიდებელი ბროკერის მიერ დამტკიცებული ფასიანი ქაღალდების სიიდან, დამოუკიდებელი ბროკერი იმ კონკრეტულ ფასიანი ქაღალდით/ინსტრუმენტით ტრანზაქციებში შემოიფარგლება მხოლოდ პოზიციების დახურვით.

4.6. „გალტ ენდ თაგარტი“ არ ინახავს კლიენტის ფასიან ქაღალდებს მას შემდეგ, რაც კლიენტი იყიდის მათ; დამოუკიდებელი ბროკერი უზრუნველყოფს, რომ ფასიანი ქაღალდები შენახული იქნეს მოქმედი კანონის შესაბამისად. კლიენტის ფასიანი ქაღალდების და კლიენტის ფონდების დაცვაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი ბროკერი იქნება.

4.7. დავალებების განთავსება შეიძლება მხოლოდ საბაზრო დავალებების სახით. საბაზრო დავალება არის დავალება ბაზრის საათების განმავლობაში ინსტრუმენტების რაც შეიძლება სწრაფად ყიდვაზე ან გაყიდვაზე, დროის იმ მონაკვეთში ბაზარზე არსებულ ფასად. კლიენტს შეუძლია, დავალება განათავსოს ბაზრის საათების დასრულების შემდეგ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ასეთი დავალებები დამოუკიდებელ ბროკერს აღსასრულებლად გადაეცემა მომდევნო ღია ბაზრის სესიის მიმდინარეობისას, რა დროსაც შესაბამისი ინსტრუმენტის ფასი შეიძლება შეცვლილი იყოს.

4.8. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დავალების გადაცემით კლიენტი კისრულობს ვალდებულებას, იყიდოს ან გაყიდოს ინსტრუმენტი და კლიენტი თანახმაა, გამოიჩინოს სიფრთხილე ყველა და ნებისმიერი დავალების განთავსებამდე. დავალების განთავსების

შემდეგ, კლიენტი ვერ მოითხოვს დავალების შეცვლას. კლიენტმა შეიძლება მოითხოვოს იმ დავალების გაუქმება, რომელიც განათავსა საბაზრო საათების შემდეგ, ბაზრის მომდევნო გახსნამდე. კლიენტმა იცის და თანახმაა, რომ არც „გალტ ენდ თაგარტი“ და არც დამოუკიდებელი ბროკერი არ არის ვალდებული, გააუქმოს დავალება და ასეთი გაუქმება ვერ იქნება გარანტირებული. კლიენტი თანახმაა, რომ არც „გალტ ენდ თაგარტს“ და არც დამოუკიდებელ ბროკერს არ დაეკისრება ვალდებულება კლიენტის წინაშე, თუ დავალება არ გაუქმდება. მცდელობა, ჩაანაცვლოს ან შეცვალოს საბაზრო დავალება საინვესტიციო მოდულის მეშვეობით, შესაძლოა გამოიწვიოს დუბლირებული დავალებების აღსრულება, რაზეც პასუხისმგებლობა საბოლოოდ კლიენტს ეკისრება. დავალება არ ჩაითვლება გაუქმებულად, სანამ კლიენტი არ მიიღებს გაუქმების წერილობით დასტურს საინვესტიციო მოდულის მეშვეობით.

4.9. კლიენტი აცნობიერებს, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ არ იძლევა რაიმე სახის საგადასახადო, საბუღალტრო, საინვესტიციო ან იურიდიულ რჩევას სერვისებთან დაკავშირებით და „გალტ ენდ თაგარტისგან“ მიღებული არცერთი ინფორმაცია ან კომუნიკაცია არ უნდა იქნას ასეთად აღქმული. სასურველია, კლიენტმა მიიღო ინდივიდუალური დამოუკიდებელი რჩევა მისი ფინანსური მრჩევლის, აუდიტორის ან იურიდიული მრჩევლისგან შესაბამის სერვისებთან დაკავშირებული საგადასახადო შეზღუდვების და კლიენტის საინვესტიციო გადაწყვეტილებების შესახებ.

4.10. იმ შემთხვევაში, თუ „გალტ ენდ თაგარტი“ კლიენტს მიაწვდის რჩევას, ინფორმაციას ან რეკომენდაციას, „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელია ასეთი რჩევის, ინფორმაციის ან რეკომენდაციის სარგებლიანობაზე, როგორც ეს განმარტებულია მე-15 მუხლში, და კლიენტი აღიარებს და აცნობიერებს, რომ:

4.10.1. ყველა ტრანზაქცია ინსტრუმენტებში განხორციელდება ბაზრის წესების და დამოუკიდებელი ბროკერის წესების დაცვით და შესაბამისად;

4.10.2. ბაზრის წესები, ჩვეულებრივ, მოიცავს ფართო უფლებებს საგანგებო ან სხვაგვარად არასასურველ სიტუაციაში;

4.10.3. თუ რომელიმე ბირჟა ან საკლირინგო სახლი გადადგამს რაიმე ისეთ ნაბიჯს, რომელიც პირდაპირ ან ირიბ ზეგავლენას ახდენს ტრანზაქციაზე, „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, მიიღოს სიტუაციის შესაფერისი და მხარეებისთვის გონივრული ზომა კლიენტის და/ან „გალტ ენდ თაგარტის“ ინტერესებიდან გამომდინარე.

„გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე, როგორც ეს განმარტებულია მე-15 მუხლში, რომელსაც კლიენტი განიცდის ბირჟის ან საკლირინგო სახლის ასეთი ქმედების ან უმოქმედობის შედეგად ანდა „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ასეთი ქმედების ან უმოქმედობის საპასუხოდ მიღებული გონივრული ზომის შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „გალტ ენდ თაგარტმა“ უხეში დაუდევრობა გამოიჩინა აღნიშნულთან დაკავშირებით;

4.11. კლიენტი აცნობიერებს, რომ დამოუკიდებელ ბროკერს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ აკრძალოს ან შეზღუდოს ინსტრუმენტებით ვაჭრობა და/ან აქტივების მოძრაობა კლიენტის ანგარიშზე, როცა ის ჩათვლის საჭიროდ. (ა) ვაჭრობა თუ გადახდა: კლიენტი გამოთქვამს თანხმობას, რომ დამოუკიდებელ ბროკერს აქვს უფლება, დააწესოს სავაჭრო, გადახდის ან სხვა შეზღუდვები კლიენტის ანგარიშზე, მათ შორის, და არა მარტო, შემდეგ ვითარებებში: (i) სასამართლო განკარგულების, საგადასახადო ყადაღის ან მევალის სასარგებლოდ ქონების დაყადაღების ბრძანების შესაბამისად; (ii) სამთავრობო უწყების ან სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნით; (iii) ნაღდი ფულის წინასწარ შეტანის შეზღუდვების გამო, მათ შორის ფედერალური რეზერვის საბჭოს T რეგულაციის და კეთილსინდისიერების დარღვევის გამო; და (iv) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კლიენტი თანახმაა, დაემორჩილოს ასეთ შეზღუდვებს და არ წამოიწყოს ვაჭრობა ან ტრანზაქციები, რომლებიც დაარღვევს შეზღუდვას. კლიენტი არ დააკისრებს „გალტ ენდ თაგარტს“ ან დამოუკიდებელ ბროკერს პასუხისმგებლობას რაიმე სავაჭრო დანაკარგის, დაკარგული მოგების, საგადასახადო ვალდებულებების ან სხვა ზარალის გამო, რომელიც გამომდინარეობს სავაჭრო ან გადახდის შეზღუდვებიდან, რომლებიც კლიენტის ანგარიშს ადევს.
(ბ) შეზღუდვები ანგარიშზე: თუ დამოუკიდებელ ბროკერთან კლიენტის ანგარიშზე შეზღუდვაა დაწესებული, შეიზღუდება ასეთ ანგარიშებთან დაკავშირებით კლიენტის მიერ დამოუკიდებელი ბროკერის პლატფორმის და სავაჭრო ფუნქციების გამოყენებაც. დამოუკიდებელი ბროკერი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს ნაღდი ფულის ან საკუთარი კაპიტალის შენატანები, ასევე, განსაზღვროს ასეთი შენატანის ადეკვატურობა, შეზღუდვის მოხსნამდე და დამოუკიდებელი ბროკერის პლატფორმის გამოყენების განახლებამდე. შეზღუდვის მოქმედების პერიოდში არც „გალტ ენდ თაგარტი“ და არც დამოუკიდებელი ბროკერი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის ანგარიშისთვის მომსახურების გაწევაში, მათ შორის ფასიანი ქაღალდების დავალების აღსრულებაში შეფერხებაზე ან შეუსრულებლობაზე, თუ კლიენტს არა აქვს საკმარისი თანხა კლიენტის ანგარიშზე ანდა კლიენტი აგვიანებს შეტანას ან არ შეაქვს მოთხოვნილი ნაღდი ფული ან საკუთარი კაპიტალი.

4.12. საინვესტიციო ანგარიშის გახსნით, თქვენ აცნობიერებთ, რომ თქვენზე ვრცელდება დამოუკიდებელი ბროკერის შეზღუდვები განმეორებად შიდადღიურ ვაჭრობის წესებთან დაკავშირებით. შიდადღიური ვაჭრობა არის, როდესაც კლიენტი ყიდულობს ან ყიდის ერთსა და იმავე ფასიან ქაღალდს ერთსა და იმავე დღეს. წინამდებარე ანგრიშის მიზნებისთვის, განმეორებადი შიდადღიური ვაჭრობა არის, როდესაც კლიენტი ახორციელებს ვაჭრობას 4-ჯერ ან მეტჯერ 5 სამუშაო დღის განმავლობაში. შიდადღიური ვაჭრობა ძალიან სარისკოა და არ არის შესაფერისი ისეთი პირებისთვის, ვისაც ლიმიტირებული რესურსები, ლიმიტირებული საინვესტიციო და სავაჭრო გამოცდილება ანდა რისკის დაბალი ამტანობა აქვს. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ არ ჩაერთვება განმეორებად შიდადღიურ ვაჭრობაში. თუ კლიენტი ჩაერთვება განმეორებად შიდადღიურ ვაჭრობაში, დამოუკიდებელ ბროკერი უფრებამოსილია დახუროს კლიენტის ანგარიში.

4.13. თუ დამოუკიდებელი ბროკერი შეამჩნევს სისტემის ისეთ გამოყენება, რითაც უხეშად ირღვევა მოსალოდნელ საბაზისო მაჩვენებელი, დამოუკიდებელი ბროკერი იტოვებს უფლებას, დროებით შეაჩეროს ან დაბლოკოს საინვესტიციო ანგარიშის და საინვესტიციო მოდულის გამოყენება, რათა შეამოწმოს გამოყენების სიზუსტე. არც „გალტ ენდ თაგარტი“ და არც დამოუკიდებელი ბროკერი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის დანაკარგებზე, რომელსაც ის განიცდის საინვესტიციო ანგარიშის და საინვესტიციო მოდულის გამოყენების დროებითი შეჩერების ან დაბლოკვის პერიოდში.

4.14. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ დამოუკიდებელმა ბროკერმა შესაძლოა, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩართოს კლიენტის ანგარიში დამოუკიდებელი ბროკეროს ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამაში (cash management program), დამოუკიდებელი ბროკერის ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის პირობების შესაბამისად, რომელიც გამჟღავნებულ და მიწოდებულ იქნა კლიენტისთვის ანგარიშზე რეგისტრაციის პროცესში. ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა გულისხმობს დამოუკიდებელ ბროკერთან გახსნილ კლიენტის ანგარიშზე არსებული გარკვეული არაინვესტირებული თანხების (როგორც ამას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ბროკერი) ინვესტირებას ლიკვიდურ ინვესტიციაში, რომელმაც შესაძლოა გამოიმუშავოს სარგებელი (პროცენტი). დამოუკიდებელი ბროკერმა, საკუთარი სრული დისკრეციის ფარგლებში, შესაძლოა გაუნაწილოს ამგვარად მიღებული სარგებელი კლიენტს. კლიენტი ასევე აცნობიერებს, რომ დამოუკიდებელმა ბროკერმა შესაძლოა ამგვარად მიღებული სარგებლის გარკვეული ნაწილი გაუნაწილოს „გალტ & თაგარტს“. კლიენტისთვის განაწილებული სარგებლის ოდენობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი, აისახება კლიენტის ანგარიშის ამონაწერში. დამოუკიდებელმა ბროკერმა, საკუთარი სრული დისკრეციის ფარგლებში და კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, შესაძლოა შეაჩეროს ან შეწყვიტოს კლიენტის ანგარიშის მონაწილეობა კონკრეტულ ფულადი სახსრების მენეჯმენტის პრგორამაში. „გალტ & თაგარტი“ არ არის პასუხისმგებელი ამგვარ შეჩერებასა თუ შეწყვეტაზე ან/და კლიენტისთვის რაიმე სარგებლის ნებისმიერ გადახდაზე. კლიენტი აცნობიერებს, რომ ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამა და მისი პირობები იმართება დამოუკიდებელი ბროკერის მიერ მისი სრული დისკრეციის ფარგლებში, და რომ „გალტ & თაგარტს“ არ გააჩნია არანაირი კონტროლი მის შინაარსზე. კლიენტი დამატებით ადასტურებს და ეთანხმება, რომ მან მიიღო, გაეცნო და დაეთანხმა დამოუკიდებელი ბროკერის ფულადი სახსრების მენეჯმენტის პროგრამის შესაბამისი გამჟღავნებების დოკუმენტს.

4.15. ინსტრუმენტებით ვაჭრობაზე და მათთან დაკავშირებულ აქტივობებზე ვრცელდება საქართველოს და აშშ-ის კანონმდებლობა. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იღებს არანაირ ვალდებულებას, უზრუნველყოს ინდივიდუალური რჩევა, ინფორმაცია ან რეკომენდაცია იმ ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ რეგულირდება აღნიშნული

კანონებით.

4.16. წინამდებარე პირობების ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად, „გალტ ენდ თაგარტი“, სერვისების გაწევისას, უფლებამოსილი იქნება, გადადგას ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც მიჩნეულია აუცილებელ და გონივრულ ნაბიჯად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისობა ბაზრის წესებთან და ყველა სხვა შესაბამის კანონსა და მარეგულირებელ გადაწყვეტილებასთან.

5. „გალტ ენდ თაგარტსა“ და კლიენტს შორის ურთიერთობები

5.1. კლიენტს შეუძლია დავალებები წარუდგინოს „გალტ ენდ თაგარტს“ საინვესტიციო მოდულის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით წარდგენილი დავალება არ იქნება ქმედითი.

5.2. კლიენტი აცნობიერებს და აღიარებს, რომ „გალტ ენდ თაგარტთან“ გახსნილი კლიენტის ანგარიში არის თვითმართვადი ანგარიში. შესაბამისად, კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ ნიშნავს თავის აგენტად, რომ შეასრულოს კლიენტის მითითებები წინამდებარე პირობების და ნებისმიერი იმ თანმდევი რისკის შესაბამისად, რომელიც ინსტრუმენტების ყიდვას ან გაყიდვას ახლავს. კლიენტი აცნობიერებს, რომ ვაჭრობის და საბროკერო სერვისებს „გალტ ენდ თაგარტი“ უზრუნველყოფს საინვესტიციო მოდულის მეშვეობით და ამ სერვისების შესასრულებლად იყენებს დამოუკიდებელ ბროკერს და/ან სერვისის სხვა დამოუკიდებელ პროვაიდერებს, მათ შორის საინვესტიციო მოდულს, რომელიც ხელმისაწვდომია კლიენტისთვის წინამდებარე პირობების შესაბამისად. კლიენტი თანახმაა, მიიღოს და გადასცეს ფინანსური ინფორმაცია საინვესტიციო მოდულის მეშვეობით.

5.3. ბაზრის მონაცემები, ბაზრის ანალიზი, ახალი ამბები, კვლევა, ბმულები გარე ვებ-გვერდებთან და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც საინვესტიციო მოდულით არის ხელმისაწვდომი (ერთობლივად, კონტენტი), უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი ბროკერის ან მისი სერვისის ან კონტენტის დამოუკიდებელი პროვაიდერების მიერ. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იძლევა რაიმე სახის მკაფიოდ გამოხატულ ან ნაგულისხმევ განცხადებას ან გარანტიას ასეთ კონტენტთან დაკავშირებით ანდა სისტემებით და ქსელებით გადაცემულ ინფორმაციასა თუ მონაცემთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფილია საინვესტიციო მოდულის ფარგლებში, მათ შორის, შეუზღუდავად, რაიმე გარანტიას შედეგიანობის, სიზუსტის, წვდომის, სისრულის, დროულობის, ადეკვატურობის, სავაჭრო ჩვევების, მყიდველის მოლოდინებთან შესაბამისობის, საავტორო უფლებების დაურღვევლობის ან რაიმე კონკრეტული მიზნისთვის შესაფერისობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს კონტენტის, ან მისი რაიმე ნაწილის, მოდიფიკაცია ან შეწყვეტა. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგსა ან ზარალზე, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება ასეთ შეწყვეტას ან მოდიფიკაციას.

5.4. „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდზე ჩამოთვლილი პირობების და საინვესტიციო მოდულთან დაკავშირებით მე-6 მუხლში განსაზღვრული პირობების გარდა, საინვესტიციო მოდულის მეშვეობით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება შემდეგი პირობები:

5.4.1. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იღებს რაიმე რისკს კლიენტთან მიმართებით რაიმე ისეთ დანაკარგზე, ხარჯზე, დანახარჯზე ან ვალდებულებაზე, რომელიც კლიენტმა განიცადა სისტემის გაუმართაობის, გადაუცემლობის ან გადაცემის დაგვიანების, დაკავშირების პრობლემების ან მსგავსი ან სხვა ტექნიკური შეფერხების გამო;

5.4.2. დამოუკიდებელ ბროკერს ან სხვა დამოკიდებელ პროვაიდერს შეუძლია კლიენტს საინვესტიციო მოდულის მეშვეობით შესთავაზოს მიმდინარე სავაჭრო ფასები. კლიენტსა და დამოუკიდებელ ბროკერს/დამოუკიდებელ პროვაიდერს შორის გადაცემის დაგვიანების გამო, საინვესტიციო მოდულზე ნაჩვენები ფასი შეიძლება შეიცვალოს მანამ, სანამ „გალტ ენდ თაგარტი“ კლიენტისგან დავალებას მიიღებს;

5.4.3. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე რაიმე დანაკარგზე, ხარჯზე, დანახარჯზე ან ვალდებულებაზე, რომელიც განიცადა კლიენტმა იმის გამო, რომ იყენებს ვერსიას, რომელიც განსხვავდება იმ ვერსიისგან, რომელიც განახლებულია ყველა ხელმისაწვდომი უახლესი პროგრამით; გარდა ამისა, „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე რაიმე დანაკარგზე, ხარჯზე, დანახარჯზე ან ვალდებულებაზე, რომელიც განიცადა კლიენტმა იმის გამო, რომ იყენებს მობილ-ბანკის ვერსიას, რომელიც განსხვავდება სს „საქართველოს ბანკის“ სტანდარტული ვერსიისგან, რომელიც განახლებულია ყველა ხელმისაწვდომი უახლესი პროგრამით;

5.4.4. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, ასევე ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელშიც გამოყენებულია კლიენტის სახელი, პაროლი ან ნებისმიერი სხვა პირადი იდენტიფიცირების საშუალება, რომელიც კლიენტის იდენტიფიცირებისთვის არის შექმნილი;

5.4.5. კლიენტი ვალდებულია, დაიცვას პაროლის და ნებისმიერი სხვა რეგისტრაციის გასავლელად გამოყენებული ინფორმაციის საიდუმლოება და უზრუნველყოს, რომ მესამე მხარეებმა არ მოიპოვონ წვდომა კლიენტის სავაჭრო საშუალებებთან;

5.4.6. კლიენტი პასუხისმგებელია „გალტ ენდ თაგარტის“ და/ან დამოუკიდებელი ბროკერის წინაშე კლიენტის ანგარიშის გამოყენებით შესრულებულა ტრანზაქციებზე მაშინაც კი, თუ ის კანონსაწინააღმდეგოდ იქნა ან არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებული;

5.4.7. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო მოდულის მეშვეობით კლიენტი მიერ მითითებების გააგზავნის შემდეგ საინვესტიციო მოდულმა შესაძლოა დაადასტუროს, რომ ტრანზაქცია დაუყოვნებლივ სრულდება, აღსრულება დადასტურებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაჭრობის დადასტურება ხდება კლიენტისთვის საინვესტიციო მოდულზე ხელმისაწვდომი.

5.5. ნებისმიერი მითითება, რომელსაც კლიენტი აგზავნის საინვესტიციო მოდულით, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მიღებულად და ქმედით მითითებად „გალტ ენდ თაგარტსა“ და კლიენტს შორის, როდესაც „გალტ ენდ თაგარტი“ ასეთ მითითებას აღსრულებულად აღრიცხავს და დაუდასტურებს კლიენტს ვაჭრობის დადასტურების და/ან ანგარიშის ამონაწერის

მეშვეობით; კლიენტის მიერ მითითების უბრალოდ გადაგზავნა არ წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ მითითებას „გალტ ენდ თაგარტსა“ და კლიენტს შორის.

5.6. „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება (მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არა ვალდებულება), მოითხოვოს დადასტურება ისეთი ფორმით, როგორსაც „გალტ ენდ თაგარტი“ მიიჩნევს საჭიროდ, თუ მითითება არის ანგარიშის დახურვა ან კლიენტის კუთვნილი თანხის გადაგზავნა ან თუ „გალტ ენდ თაგარტს“ მიაჩნია, რომ ასეთი დადასტურება აუცილებელი ან სასურველია.

5.7. „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ და რაიმე განმარტების ან მიზეზის გარეშე თქვას უარი კლიენტის რომელიმე მითითების შესრულებაზე. ასეთი შემთხვევებში შეიძლება შედიოდეს, და არა მარტო, ვითარება, როდესაც „გალტ ენდ თაგარტი“ მიიჩნევს, რომ მითითების შესაბამისად განკარგვით შეიძლება დაირღვეს შესაბამისი კანონმდებლობა, ბაზრის ჩვეული პრაქტიკა, მათ შორის, და არა მარტო, ფულის გათეთრებასთან ან ინსაიდერულ ვაჭრობასთან ბრძოლის კანონმდებლობა, ასევე, თუ „გალტ ენდ თაგარტის“ საფუძვლიანი ვარაუდით, განკარგვა კლიენტის და/ან ბანკის ეკონომიკურ სიმყარეს რისკს შეუქმნის.

5.8. ზოგადად, „გალტ ენდ თაგარტმა“ უნდა შეძლებისდაგვარად სწრაფად იმოქმედოს კლიენტის მითითებების/დავალებების შესაბამისად. თუმცა, თუ კლიენტისგან მითითებების მიღების შემდეგ „გალტ ენდ თაგარტს“ მიაჩნია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მითითებების გონივრულ დროში შესრულება, „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება, გადადოს მითითებების შესრულებას მანამ, სანამ „გალტ ენდ თაგარტის“ შეხედულებით, ამის გაკეთება პრაქტიკულად შესაძლებელია, ანდა რაც შეიძლება სწრაფად აცნობოს კლიენტს, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ უარს ამბობს ასეთი მითითებების შესრულებაზე.

5.9. კლიენტი უნდა იყოს ინდივიდუალური პირი. ანგარიშს არ შეიძლება ფლობდეს ერთზე მეტი პირი.

5.10. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ „გალტ ენდ თაგარტმა“ ჩაიწეროს ყველა სატელეფონო საუბარი, ინტერნეტით საუბარი (ჩატი), მათ შორის ნებისმიერი კომუნიკაცია საინვესტიციო მოდულით და შეხვედრები კლიენტსა და „გალტ ენდ თაგარტს“ შორის და გამოიყენოს ასეთი ჩანაწერები ან ამ ჩანაწერებიდან გაშიფრული ამონარიდები, როგორც მტკიცებულება ნებისმიერი მხარის წინაშე (მათ შორის, და არა მარტო, მარეგულირებელი ორგანოს და/ან სასამართლოს წინაშე), ვისთვისაც ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება „გალტ ენდ თაგარტს“, საკუთარი შეხედულებით, სასურველი ან აუცილებელია მიაჩნია „გალტ ენდ თაგარტსა“ და კლიენტს შორის ნებისმიერი დავის ან მოსალოდნელი დავის შემთხვევაში. თუმცა, ტექნიკურმა მიზეზებმა შეიძლება ხელი შეუშალოს „გალტ ენდ თაგარტს“ საუბრის ჩაწერა, ასევე, „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ გაკეთებული ჩანაწერები ან გაშიფრული ტექსტები განადგურდება „გალტ ენდ თაგარტის“ სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად. ამიტომ, კლიენტს არ უნდა ჰქონდეს ასეთი ჩანაწერების ხელმისაწვდომობის იმედი.

GALT & TAGGART
BROKERAGE

6. საგანგებო შენიშვნა საინვესტიციო მოდულის გამოყენებასთან დაკავშირებით

6.1. საინვესტიციო მოდულის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ბროკერის აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (შემდგომში „აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი“). კლიენტს საინვესტიციო მოდულზე წვდომა მხოლოდ mBank-ით შეუძლია. mBank-ის სერვისებს სს „საქართველოს ბანკი“ უზრუნველყოფს. კლიენტი აღიარებს და ათვითცნობიერებს, რომ იმისათვის, რომ მიიღოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სერვისები, მას უნდა ჰქონდეს აქტიური საბანკო ანგარიში სს „საქართველოს ბანკში“ და სათანადო წვდომა mBank-ზე. mBank-ზე წვდომა და მისი გამოყენება რეგულირდება სს „საქართველოს ბანკის“ მიერ და კლიენტსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით. „გალტ ენდ თაგარტი“ არ წარმოადგენს ნებისმიერი ამგვარი ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს და არ აქვს მათი შინაარსის კონტროლის უფლებამოსილება. თუ კლიენტს აღარ ექნება mBank-ზე წვდომა, მას აღარ ექნება არც საინვესტიციო მოდულზე წვდომა მანამ, სანამ არ აღადგენს mBank-ზე წვდომას.

6.2. კლიენტი პასუხისმგებელია თავისი ანგარიშის დაცვაზე და საინვესტიციო ანგარიშზე უნებართვო წვდომის მონიტორინგზე. კლიენტის მიერ კლიენტის ანგარიშის გამოყენება ან ნებისმიერი მესამე პირისთვის მასზე წვდომის მინიჭება კლიენტის ანგარიშზე არსებულ ინფორმაციაზე წვდომის ან ამ ანგარიშზე ტრანზაქციების განთავსების მიზნით მხოლოდ კლიენტის რისკით მოხდება.

6.3. თუ mBank-ის სისტემაში შესასვლელი (login) ინფორმაცია დაიკარგება ან მოპარული იქნება, ან მას უკანონოდ მიითვისებს მესამე პირი, კლიენტი დაყოვნების გარეშე უნდა დაუკავშირდეს სს „საქართველოს ბანკს“ დახმარებისათვის.

6.4. თუ „გალტ ენდ თაგარტი“ ან სს „საქართველოს ბანკი“ დასაბუთებულად მიიჩნევენ, რომ კლიენტის ანგარიშზე ადგილი ჰქონდა კიბერ-უსაფრთხოების ინციდიენტს, „გალტ ენდ თაგარტი“ და სს „საქართველოს ბანკი“ იტოვებენ უფლებას, დაუყოვნებლივ იმოქმედონ ანგარიშის დასაცავად.

6.5. სს „საქართველოს ბანკს“ შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე, კლიენტსა და სს „საქართველოს ბანკის“ შორის გაფორმებული პირობების/ხელშეკრულე(ებ)ების შესაბამისად, წინასწარი შეტყობინების გარეშე შეზღუდოს კლიენტს წვდომა საინვესტიციო მოდულზე. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი წვდომის რაიმე ამგვარი შეზღუდვაზე და/ან დაკარგვაზე, რომელიც ასეთი შეზღუდვით იქნება გამოწვეული.

6.6. კლიენტს საინვესტიციო მოდულიდან ექნება წვდომა ანგარიშებზე სავაჭრო აქტივობების და მის ანგარიშზე არსებული ნაშთების შესახებ.

6.7. „გალტ ენდ თაგარტს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირი თუ ირიბი ზარალისთვის და/ან რაიმე ტექნიკური საკითხების ან სხვა მიზეზების შედეგად დამდგარი ზარალისთვის, მათ შორის, შეუზღუდავად:

6.7.1. საოპერაციო გაუმართაობებზე, რომლებიც ხელს უშლის ან აბრკოლებს საინვესტიციო მოდულის და/ან mBank-ის გამოყენებას;
6.7.2. წყვეტებზე, რომლებიც ხელს უშლის კლიენტს საინვესტიციო მოდულზე და/ან mBank-ზე წვდომაში;
6.7.3. კომუნიკაციისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებად ინტერნეტის გამოყენებაზე;
6.7.4. კლიენტის საკუთარ მობილურ ან კომპიუტერულ სისტემებთან დაკავშირებული საკითხებით გამოწვეულ ზიანზე;
6.7.5. ზარალზე, რომელიც გამოწვეულია კლიენტის ინსტალაციით და მის მიერ კომპიუტერული ან მობილური პროგრამების გამოყენებით, რომლებიც საინვესტიციო მოდულზე და/ან mBank-ზე ან მათთან ერთად გამოიყენება.

7. თანხების გადარიცხვა

7.1. საინვესტიციო ანგარიში დენომინირებული იქნება მხოლოდ აშშ დოლარებში (საბაზისო ვალუტა), შესაბამისად, საინვესტიციო ანგარიშზე გადარიცხული და საინვესტიციო ანგარიშიდან გადმორიცხული ნებისმიერი თანხა იქნება აშშ დოლარებში. იმისთვის რომ დავალება აღსრულდეს, კლიენტს ანგარიშზე საკმარისი თანხა უნდა ჰქონდეს შეტანილი. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ იმისთვის რომ დაცული იყოს გამომგზავნის იდენტობა, „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებას იძლევა თანხები გადაირიცხოს მხოლოდ კლიენტის საინვესტიციო ანგარიშიდან კლიენტის საკუთარ ანგარიშზე (ანგარიშებზე) სს „საქართველოს ბანკში“ და პირიქით. რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, შეუძლებელია თანხების გადარიცხვა კლიენტის საინვესტიციო ანგარიშსა და კლიენტის სხვა იმ ანგარიშს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის, რომელიც „გალტ ენდ თაგარტთან“ აქვს გახსნილი. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი საკუთარი ანგარიშიდან (ანგარიშებიდან) თანხების საკუთარ საინვესტიციო ანგარიშზე დაკრედიტებაზე და თანხების გადარიცხვამდე ვალუტის აუცილებელი კონვერტირების შესრულებაზე.

7.2. ფასიანი ქაღალდების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი აისახება საინვესტიციო ანგარიშზე შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ; თუმცა, ეს შემოსავლები შეიძლება არ იქნეს შეტანილი და შესაბამისად, კლიენტმა ვერ შეძლოს ამ შემოსავლების გამოტანა იმ დრომდე, სანამ ტრანზაქცია, რომელიც შესაბამისი ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე კლიენტის დავალების შედეგად იქნა დაწყებული, არ დასრულდება და დამოუკიდებელი ბროკერი არ მიიღებს შესაბამის შემოსავლებს. ეს ვრცელდება მიუხედავად იმისა ეს მკაფიოდ არის თუ არა დაფიქსირებული გადახდის ქვითრებში თუ სხვა შეტყობინებებში ან გადახდის მოთხოვნაში.

7.3. საინვესტიციო ანგარიშზე გასატანად ხელმისაწვდომი თანხის გატანის მოთხოვნების აღსრულებას შეიძლება რამდენიმე დღე დასჭირდეს. ჩვეულებრივ, კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს მინიმუმ ორი სავაჭრო დღე ასეთი მოთხოვნების შესრულებისთვის.

7.4. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ კლიენტმა თავად უნდა დაფაროს თავისი ხარჯები, რომლებიც უკავშირდება თანხების გადახდას ან გადარიცხვას.

7.5. კლიენტი აცნობიერებს, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ ვერ იქნება პასუხისმგებელი დღეების იმ რაოდენობაზე, რაც დასჭირდება გამგზავნი ბანკის მიერ გადარიცხული თანხების

საინვესტიციო ანგარიშზე მიღებას.

7.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ ვერ იქნება პასუხისმგებელი დღეების იმ რაოდენობაზე, რაც დასჭირდება საინვესტიციო ანგარიშიდან გადარიცხული თანხების მიმღებ ბანკში კლიენტის ანგარიშზე მიღებას.

7.7. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ კლიენტი პასუხისმგებელია ნებისმიერ უცხოურ ხარჯზე, რომელიც გამომდინარეობს მიმღები ფინანსური ინსტიტუტების ან მისი შუამავალი ფინანსური ინსტიტუტებიდან, გამოწვეულია მიმღები ფინანსური ინსტიტუტების ან მისი შუამავალი ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაგვიანების ან დაშვებული შეცდომის გამო.

7.8. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, აცნობოს გამგზავნის სახელი და ანგარიშის ნომერი მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებს.

7.9. „გალტ ენდ თაგარტი“, სს „საქართველოს ბანკი“, დამოუკიდებელი ბროკერი, საკორესპონდენტო ბანკები და/ან სხვა ბანკები, რომლებიც ქმნიან გადახდის ჯაჭვს, უნდა ახორციელებდნენ ფულის მოძრაობაზე მონიტორინგს ტერორისტთა სიებთან, მათ შორის ევროკავშირის მონაცემთა ბაზასთან ან მონაცემთა ნებისმიერ სხვა იმ ბაზასთან მიმართებით, რომელსაც მოქმედი კანონები და რეგულაციები მოითხოვს. ასეთმა მონიტორინგმა შეიძლება გამოიწვიოს გადახდების რეგისტრაციის გადავადება, შეჩერება ან გაყინვა. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგზე, რომელიც წარმოიშობა ფულის მოძრაობის მონიტორინგის ვალდებულების შედეგად.

7.10. ნებისმიერი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება ვალდებული, გადაუხადოს კლიენტს საპროცენტო განაკვეთი ნებისმიერ ანგარიშზე არსებულ საკრედიტო ბალანსზე ანდა რაიმე სხვა თანხაზე, რომელიც „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს, ანდა ანგარიში ჩააბაროს კლიენტს რაიმე საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც „გალტ ენდ თაგარტმა“ მიიღო ასეთ თანხებზე ან რაიმე ტრანზაქციასთან დაკავშირებით.

8. ფასიანი ქაღალდები

8.1. ნებისმიერი ფასიანი ქაღალდები იქნება დამოუკიდებელი ბროკერის გამგებლობაში და ის განკარგავს მათ შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. დამოუკიდებელი ბროკერი პასუხისმგებელი იქნება, მოითხოვოს და მიიღოს ყველა დივიდენდი ან პროცენტი, შემოსავალი ან სხვა უფლებები, რომლებიც ეკუთვნის კლიენტს მოქმედი კანონმდებლობის და კლიენტსა და დამოუკიდებელ ბროკერს შორის არსებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე.

8.2. კლიენტმა იცის, რომ კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ან დეპონირებული ფასიანი ქაღალდები არ შეიძლება გადაეცეს ან გადავიდეს სხვა საბროკერო თუ დეპოზიტარულ ანგარიშებზე.

8.3. კლიენტის კუთვნილი ნებისმიერი ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები, ან ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები, რომლებშიც კლიენტს აქვს ინტერესი და რომლებიც

განთავსებულია საინვესტიციო ანგარიშზე, დაექვემდებარება ყადაღისა და გირავნობის უფლებას „გალტ ენდ თაგარტის“ მიმართ კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად და „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, გაყიდოს და/ან შეიძინოს ყველა და ნებისმიერი აღნიშნული ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები ზემოხსენებული ყადაღისა და გირავნობის უფლების დასაკმაყოფილებლად. კლიენტი გამოუთხოვადად ნიშნავს „გალტ ენდ თაგარტს“ თავის მინდობილ პირად, წარმომადგენლობის უფლებით, რათა მან გააფორმოს ნებისმიერი დოკუმენტები აღნიშნული ყადაღისა და გირავნობის უფლების ფორმალიზაციის ან რეგისტრაციისთვის.

8.4. კლიენტმა იცის, რომ კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ან დეპონირებული ფასიანი ქაღალდები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის ან გარანტიის სახით რომელიმე მესამე პირის, გარდა „გალტ ენდ თაგარტთან“ და/ან დამოუკიდებელ ბროკერთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა, მიმართ კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. კლიენტი ათვითცნობიერებს და თანახმაა, რომ დამოუკიდებელ ბროკერს შეიძლება ჰქონდეს მუდმივმოქმედი გირავნობის უფლება საინვესტიციო ანგარიშზე არსებულ ყველა ფასიან ქაღალდზე დამოუკიდებელ ბროკერთან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის შესაბამისად. ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი გირავნობა „გალტ ენდ თაგარტთან“ დაკავშირებული სხვა ორგანიზაციის სასარგებლოდ საჭიროებს „გალტ ენდ თაგარტის“ მხრიდან დამტკიცებას.

8.5. „გალტ ენდ თაგარტი“, კლიენტის კონკრეტული წერილობითი და/ან ელექტრონული თანხმობით, რომელიც ნებისმიერი ფორმის შეიძლება იყოს, უფლებამოსილია:

8.5.1. გადასცეს კლიენტისგან მიღებული ნებისმიერი თანხა ან უზრუნველყოფა რომელიმე მესამე პირის მიმართ „გალტ ენდ თაგარტის“ ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად;

8.5.2. მოითხოვოს, გირავნობით დატვირთოს ან გააფორმოს უზრუნველყოფის შესახებ ნებისმიერი შეთანხმება უზრუნველყოფასთან დაკავშირებით რომელიმე მესამე პირის მიმართ „გალტ ენდ თაგარტის“ ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად; ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფა შეიძლება რეგისტრირებული იყოს ან არ იყოს კლიენტის სახელზე;

8.5.3. დროებით გადასცეს (ათხოვოს) უზრუნველყოფა ნებისმიერ მესამე პირს; ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფა შეიძლება რეგისტრირებული იყოს ან არ იყოს კლიენტის სახელზე;

8.5.4. და დაუბრუნოს კლიენტს სხვა უზრუნველყოფა და არა თავდაპირველი უზრუნველყოფა.

8.6. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება ვალდებული, ანგარიში ჩააბაროს კლიენტს „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ამ მუხლში აღწერილი რომელიმე ქმედების შედეგად მიღებულ შემოსავალზე.

8.7. კლიენტს აცნობეს, რომ „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფლება, გარდა ნებისმიერი უფლებისა, რომელიც მას წინამდებარე პირობების ან ზოგადად საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შეიძლება ჰქონდეს, შეზღუდოს კლიენტის ღია პოზიციების (წმინდა თუ გადასახადების ჩათვლით) ზომა და უარყოს დავალებები ახალი პოზიციების შესაქმნელად. „გალტ ენდ თაგარტი“ რაც შეიძლება სწრაფად აცნობებს კლიენტს ამგვარი უარყოფილი დავალებების შესახებ და, თუ ეს გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელი იქნება, უარყოფის მიზეზს. სიტუაციები, რომლებშიც „გალტ ენდ თაგარტს“ შეუძლია აღნიშნული უფლებით სარგებლობა, მოიცავს, თუმცა არანაირ გარემოებებში არ შემოიფარგლება, შემდეგს:

8.7.1. როდესაც „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს მიზეზი, მიაჩნდეს, რომ კლიენტს აქვს ინსაიდერული

ინფორმაცია;

8.7.2. „გალტ ენდ თაგარტს“ მიაჩნია, რომ სავაჭრო პირობები არანორმალურია;

8.7.3. კლიენტს აქვს ნეგატიური ნაშთი საინვესტიციო ანგარიშზე ან „გალტ ენდ თაგარტთან“ გახსნილ ნებისმიერ სხვა ანგარიშ(ებ)ზე;

8.7.4. „გალტ ენდ თაგარტი“ ასეთ მითითებას დამოუკიდებელი ბროკერისგან მიიღებს;

8.7.5. „გალტ ენდ თაგარტს“ ამის გაკეთება მოეთხოვება მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოს ბრძანებულებით ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ;

8.7.6. ეთიკური ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელსაც „გალტ ენდ თაგარტი“ მართებულად მიიჩნევს.

9. ანგარიში

9.1. ვაჭრობის დადასტურებას კლიენტის მიერ შესრულებულ ნებისმიერ ტრანზაქციასთან მიმართებით და „გალტ ენდ თაგარტის“ ან დამოუკიდებელი ბროკერის მიერ კლიენტისთვის დახურულ ნებისმიერ ღია პოზიციასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ბროკერი კლიენტისთვის ხელმისაწვდომს გახდის საინვესტიციო მოდულის მეშვეობით. ჩვეულებრივ, ვაჭრობის დადასტურებების ნახვა ტრანზაქციის დასრულებისთანავე იქნება შესაძლებელი. წინამდებარე პირობებზე დათანხმებით კლიენტი თანახმაა, არ მიიღოს ნებისმიერი აღნიშნული დოკუმენტი ამობეჭდილი ფორმით.

9.2. ანგარიშის ამონაწერს დამოუკიდებელი ბროკერი საინვესტიციო მოდულის მეშვეობით შექმნის და ხელმისაწვდომს გახდის. ჩვეულებრივ, პერიოდულად მოხდება მისი განახლება. წინამდებარე პირობებზე დათანხმებით კლიენტი თანახმაა, არ მიიღოს „გალტ ენდ თაგარტისგან“ ანგარიშის ამონაწერები ამობეჭდილი ფორმით, გარდა კლიენტის მიერ სპეციალურად მოთხოვნის და „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ დამტკიცების შემთხვევისა.

9.3. „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ პირობების საფუძველზე გასაგზავნი ნებისმიერი და ყველა შეტყობინება თუ კომუნიკაცია „გალტ ენდ თაგარტმა“ შეიძლება გაგზავნოს, საკუთარი არჩევანისამებრ, ელექტრონული ფორმით - ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ან კლიენტის საინვესტიციო მოდულში განთავსების გზით. ამ მიზნით გამოყენებული იქნება კლიენტის მიერ რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი ავტორიზებული ელექტრონული ფოსტის მისამართი. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულად ჩაითვლება „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ გაგზავნისას. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი არანაირ დაყოვნებაზე, ცვლილებაზე, მიმართულების შეცვლაზე ან ნებისმიერ სხვა მოდიფიკაციაზე, რომელიც ელექტრონული ფოსტით გაგზავნილმა შეტყობინებამ შეიძლება განიცადოს „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ გაგზავნის შემდეგ. კლიენტის საინვესტიციო მოდულში კლიენტის ანგარიშში განთავსებული შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულად ჩაითვლება, როდესაც „გალტ ენდ თაგარტი“ მას საინვესტიციო მოდულში განათავსებს. კლიენტის პასუხისმგებლობაა იმის უზრუნველყოფა, რომ კლიენტის პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერული ტექნიკა არ უშლიდეს ხელს კლიენტს ელექტრონული ფოსტის წერილების მიღებაში ან საინვესტიციო მოდულზე წვდომაში.

9.4. კლიენტი ვალდებულია, შეამოწმოს ყველა დოკუმენტის, მათ შორის საინვესტიციო მოდულის მეშვეობით ხელმისაწვდომი დოკუმენტების (მათ შორის, შეუზღუდავად, ვაჭრობის დადასტურებების ან ანგარიშის ამონაწერების) ან „გალტ ენდ თაგარტის“ თუ

დამოუკიდებელი ბროკერის მიერ ელექტრონული ფორმით სხვაგვარად გაგზავნილი დოკუმენტების შინაარსი. აღნიშნული დოკუმენტები, აშკარა შეცდომის არარსებობის პირობებში, მიიჩნევა საბოლოოდ, თუ კლიენტი ამგვარი დოკუმენტის მიღებისთანავე წერილობით სხვა რამეს არ აცნობებს „გალტ ენდ თაგარტს“, რათა „გალტ ენდ თაგარტმა“ მიიღოს საჭირო ზომები დამოუკიდებელ ბროკერთან დასაკავშირებლად. თუ კლიენტს მიაჩნია, რომ დადო ტრანზაქცია, რის შედეგად უნდა შექმნილიყო ვაჭრობის დადასტურება ან სხვა შეტყობინება კლიენტის ანგარიშზე, მაგრამ კლიენტს არ მიუღია ამგვარი დადასტურება, კლიენტმა უნდა აცნობოს ამის შესახებ „გალტ ენდ თაგარტს“ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მას უნდა მიეღო დადასტურება. ამგვარი ინფორმაციის არარსებობისას „გალტ ენდ თაგარტის“ ან დამოუკიდებელი ბროკერის გადაწყვეტილებით ტრანზაქცია შეიძლება არარსებულად ჩაითვალოს.

9.5. საინვესტიციო მოდულში არსებული არანაირი ინფორმაცია, მათ შორის ანგარიშის ამონაწერებში ან ვაჭრობის დადასტურებებში არსებული ინფორმაცია, არ წარმოადგენს რაიმე ვალუტის, პროდუქტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვის ან გაყიდვის, რაიმე ინვესტიციის განხორციელების ან რაიმე კონკრეტულ სავაჭრო სტრატეგიაში მონაწილეობის შეთავაზებას (ან წაქეზებას). „გალტ ენდ თაგარტი“ არ არის პასუხისმგებელი ვაჭრობის დადასტურებების ან ანგარიშის ამონაწერების შექმნასა და უზრუნველყოფაზე. ანგარიშის ამონაწერებში მოცემული ინფორმაცია იქმნება მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის და არ გულისხმობს რაიმე განცხადებას, გარანტიას ან ვალდებულებას მასში მოცემული ინფორმაციის სიზუსტესთან ან სისრულესთან დაკავშირებით. ანგარიშის ამონაწერები არ წარმოადგენს იურიდიულ, საგადასახადო ან სხვა სახის რჩევას რაიმე ფორმით. ამგვარ მიზნებთან დაკავშირებით კლიენტმა კონსულტაცია საკუთარ მრჩევლებთან უნდა გაიაროს.

9.6. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად და მიუხედავად რაიმე საწინააღმდეგოსი, ანგარიშის ამონაწერის/ვაჭრობის დადასტურების მიწოდება ხდება ყოველგვარი განცხადების ან გარანტიის (მკაფიოდ გამოხატული თუ ნაგულისხმევი) გარეშე და „გალტ ენდ თაგარტი“ იხსნის პასუხისმგებლობას, თუ ნებისმიერი ან ყველა აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება სრული, ზუსტი, უახლესი, შესაფერისი და რელევანტური კლიენტისათვის. ანგარიშის ამონაწერში/ვაჭრობის დადასტურებაში არსებული შეცდომები და/ან ხარვეზები (მათი არსებობის შეთხვევაში) არ წარმოადგენს საფუძველს რაიმე პრეტენზიისთვის, მოთხოვნისთვის თუ სარჩელისთვის „გალტ ენდ თაგარტის“ წინააღმდეგ; და მხოლოდ კლიენტის პასუხისმგებლობაა ანგარიშის ამონაწერის/ვაჭრობის დადასტურების დეტალური შემოწმება მათი სისრულის, სიზუსტის, მათი უახლესი ხასიათის და/ან სამომავლო გამოყენებისთვის შესაფერისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, შეზღუდვის გარეშე, „გალტ ენდ თაგარტი“ იხსნის პასუხისმგებლობას ანგარიშის ამონაწერში/ვაჭრობის დადასტურებაში არსებული ნებისმიერი საბაზრო კოტირების სიზუსტეზე, ნებისმიერ დაყოვნებაზე, უზუსტობაზე, შეცდომაზე, შეწყვეტაზე ან ხარვეზზე. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იძლევა გარანტიას და არ იღებს პასუხისმგებლობას ანგარიშის ამონაწერთან/ვაჭრობის დადასტურებასთან დაკავშირებით და/ან იმასთან დაკავშირებით, თუ მათში არსებული ინფორმაცია მოძველებული იქნება. ამას გარდა, „გალტ ენდ თაგარტი“ არ არის ვალდებული, განაახლოს ანგარიშის ამონაწერი და/ან მასში არსებული ინფორმაცია, ან შეასრულოს რაიმე ქმედება ამ თვალსაზრისით.

9.7. „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე ან დაზიანებაზე,

რომელიც გამოწვეული იქნება ანგარიშის ამონაწერზე და/ან ვაჭრობის დადასტურებაზე რომელიმე პირის წვდომით ან ანგარიშის ამონაწერზე და/ან ვაჭრობის დადასტურებაზე წვდომის შეუძლებლობით, ან შესაბამისი ინტერნეტ-კავშირის, საინფორმაციო ტექნოლოგიების აპარატურის და/ან საოპერაციო სისტემების გაუმართაობით, დარღვევებით ან დაყოვნებებით. აღნიშნული შეზღუდვა, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს აპარატურისა და საოპერაციო სისტემების დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია ვირუსებით, საფრთხის შემცველი პროგრამებით ან ნებისმიერი სხვა მავნე პროგრამული უზრუნველყოფით.

9.8. ანგარიშის ამონაწერი/ვაჭრობის დადასტურება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კლიენტის ბიზნესის შიდა მიზნებისათვის. მკაცრად არის აკრძალული ყველა თუ ნებისმიერი ანგარიშის ამონაწერის/ვაჭრობის დადასტურების ან ნებისმიერი მათი ნაწილის უნებართვო ასლების გადაღება, გავრცელება, გამოქვეყნება ან სხვა პირისთვის გადაცემა.

10. საკომისიოები, გადასახდელები და სხვა ხარჯები

10.1. კლიენტი ვალდებულია, გადაიხადოს „გალტ ენდ თაგარტის“ საკომისიოები და გადასახდელები, რომლებიც საკომისიოებისა და გადასახდელების დანართშია მითითებული.

10.2. „გალტ ენდ თაგარტმა“ შეიძლება შეცვალოს აღნიშნული საკომისიოები და გადასახდელები წინასწარი შეტყობინების გარეშე და ეს ცვლილება დაუყოვნებლივ შევა ძალაში, თუ ცვლილება განხორციელებულია კლიენტის სასარგებლოდ ან თუ ცვლილების საფუძველი გარეშე გარემოებებია, რომლებიც არ ექვემდებარება „გალტ ენდ თაგარტის“ კონტროლს. ამგვარი გარემოებებია:

10.2.1. იმ საკომისიოებისა და გადასახდელების ცვლილება დამოუკიდებელი ბროკერის, ბირჟების, კლირინგული სახლების, ინფორმაციის მომწოდებლების ან სხვა მესამე პირი-პროვაიდერების მიერ, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ კლიენტისთვის არის გადაცემული; და/ან

10.2.2. თუ „გალტ ენდ თაგარტს“ მოეთხოვება ღირებულებისა და განფასების ზოგადი სტრუქტურის შეცვლა მოქმედ კანონმდებლობაში ან რეგულაციებში შეტანილი ცვლილებების შედეგად.

10.3. „გალტ ენდ თაგარტმა“ შეიძლება შეცვალოს აღნიშნული საკომისიოები და გადასახდელები ერთი თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე, თუ:

10.3.1. „გალტ ენდ თაგარტს“ კომერციული მიზეზების გამო სურს ღირებულებისა და განფასების თავისი ზოგადი სტრუქტურის შეცვლა; და/ან

10.3.2. შეიცვალა კლიენტის მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც იქნა შეთავაზებული ინდივიდუალური პირობები.

10.4. საკომისიოებისა და გადასახდელების დანართში მითითებული ნებისმიერი საკომისიოები, გადასახდელები თუ მოსაკრებლები მითითებულია დღგ-ის ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი გადასახადების გარეშე, მათი არსებობის შემთხვევაში. გარდა აღნიშნული საკომისიოებისა და გადასახდელებისა, კლიენტი ვალდებული იქნება, გადაიხადოს ყველა შესაბამისი დღგ და სხვა გადასახადები, შენახვისა და მიწოდების გადასახდელები, ბირჟებისა და

კლირინგული სახლების გადასახდელები ან დამოუკიდებელი ბროკერის მიერ გადაცემული ნებისმიერი გადასახდელები და ყველა სხვა გადასახდელი, რომელიც დაეკისრება „გალტ ენდ თაგარტს“ ნებისმიერ ტრანზაქციასთან და/ან კლიენტთან ურთიერთობის წარმოებასთან დაკავშირებით.

10.5. გარდა წინამდებარე პირობებში მითითებული საკომისიოებისა და გადასახდელებისა, კლიენტმა „გალტ ენდ თაგარტს“ მოთხოვნისთანავე უნდა გადაუხადოს ნებისმიერი თანხა საინვესტიციო ანგარიშზე ან „გალტ ენდ თაგარტთან“ გახსნილ კლიენტის ნებისმიერ სხვა ანგარიშ(ებ)ზე პოზიტიური ნათშის შესანარჩუნებლად.

10.6. ამას გარდა, „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფლება, მოითხოვოს კლიენტის მიერ შემდეგი ხარჯებისა და მოსაკრებლების ცალკე გადახდა:

10.6.1. ყველა განსაკუთრებული ხარჯი, რომელიც გამოწვეულია კლიენტთან ურთიერთობით, მაგ. ტელეფონის, ტელეფაქსის, კურიერის და ფოსტის ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ითხოვს ვაჭრობის დადასტურების, ანგარიშიდან ამონაწერის და ა.შ. ნაბეჭდ ვერსიას, რისი გადაცემა „გალტ ენდ თაგარტს“ ელექტრონული ფორმით შეეძლო;

10.6.2. „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით, მათ შორის გადასახდელი, რომელიც „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ არის დაწესებული შეხსენებების გაგზავნასთან, იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით და ა.შ.

10.6.3. „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოების კითხვებზე პასუხებთან, მათ შორის გადასახდელი, რომელიც „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ არის დაწესებული ჩანაწერებისა და დანართების გაგზავნასთან და ასლების მომზადებასთან დაკავშირებით;

10.6.4. ადმინისტრირების მოსაკრებლები დეპონირებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით და „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გირავნობასთან, მისი არსებობის შემთხვევაში, მათ შორის სადაზღვევო პრემიის ნებისმიერი გადახდები; და

10.6.5. „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტორთა კომენტარებთან/ანგარიშებთან, თუ ამას მოითხოვს კლიენტი.

10.7. 10.6 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახდელები და ხარჯები დაირიცხება ან ფიქსირებული თანხის სახით, რომელიც შეესაბამება შესრულებულ გადახდებს, ან პროცენტული ოდენობის ან საათობრივი განაკვეთის სახით, რომელიც შეესაბამება გაწეულ სერვისს. შესაძლებელია დაანგარიშების მეთოდების კომბინირება.

10.8. „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, დააწესოს ახალი მოსაკრებლები, საკომისიოები ან გადასახდელები.

10.9. „გალტ ენდ თაგარტს“ უფლება აქვს, საკომისიოები და გადასახდელები გაუზიაროს მასთან დაკავშირებულ პირებს, მათ შორის დამოუკიდებელ ბროკერს ან სხვა მესამე პირ-სერვისების მიმწოდებლებს ანდა მიიღოს ანაზღაურება მათგან „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ გაფორმებულ კონტრაქტებთან თუ ტრანზაქციებთან დაკავშირებით. ნებისმიერი ამგვარი ანაზღაურების ან გაზიარების დეტალები არ იქნება მითითებული შესაბამის ვაჭრობის დადასტურებაში.

10.10. თუ წინამდებარე პირობებში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, წინამდებარე პირობების საფუძველზე „გალტ ენდ თაგარტისთვის“ (ან მისი აგენტებისთვის, დაკავშირებული პირებისთვის, დამოუკიდებელი ბროკერისთვის ან სხვა მესამე პირი-სერვისების მიმწოდებლებისთვის, რომელთა მომსახურებით სარგებლობს „გალტ ენდ თაგარტი“) გადასახდელი ყველა თანხა, „გალტ ენდ თაგარტის“ შეხედულებისამებრ:

10.10.1. გამოიქვითება კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ნებისმიერი თანხებიდან; ან

10.10.2. გადახდილი იქნება კლიენტის მიერ „გალტ ენდ თაგარტის“ მითითებების შესაბამისად.

10.11. წინამდებარე პირობების საფუძველზე სერვისებით სარგებლობით კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ აძლევს უფლებას, დააკავოს შესაბამისი საკომისიოები და გადასახდელები ანგარიშიდან შესაბამისი საბროკერო საკომისიოების, ანგარიშის წარმოების გადასახდელის და სხვა გადასახდელების დასაფარად, როდესაც ისინი დროდადრო გადასახდელი იქნება. ამას გარდა, კლიენტი დამოუკიდებელ ბროკერს აძლევს უფლებას, დააკავოს შესაბამისი საკომისიოები და გადასახდელები საინვესტიციო ანგარიშიდან და გადაუხადოს „გალტ ენდ თაგარტს“ კლიენტის სახელით ნებისმიერი საკომისიოები და გადასახდელები, რომლებიც კლიენტს „გალტ ენდ თაგარტისთვის“ აქვს გადასახდელი.

10.12. თუ კლიენტი განახორციელებს რაიმე გადახდას, რომლის მიმართ მოქმედებს რაიმე ფასის მერყეობა, დაქვითვა ან დაკავება, კლიენტმა „გალტ ენდ თაგარტს“ უნდა გადაუხადოს დამატებითი თანხა, რათა უზრუნველყოს, რომ „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ მიღებული რეალური თანხა შეესაბამებოდეს იმ თანხას, რომელსაც „გალტ ენდ თაგარტი“ მიიღებდა, რომ არ მომხდარიყო ფასის მერყეობა, დაქვითვა ან დაკავება.

10.13. ამას გარდა, კლიენტი აცნობიერებს, აღიარებს და ღებულობს იმ ფაქტს, რომ მე-10 მუხლში აღწერილმა პროცედურებმა შესაძლოა გამოიწვიოს დამატებითი არაპირდაპირი ხარჯები კლიენტისათვის, რომლებზეც „გალტ ენდ თაგარტს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

11. გაყიდვის უფლებები

11.1. ნებისმიერ სხვა უფლებებზე დამატებით, რომლებიც მას აქვს წინამდებარე პირობების საფუძველზე, „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფლება, კლიენტის სახელით, კლიენტის რისკით და ხარჯზე გაყიდოს კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე ან „გალტ ენდ თაგარტთან“ კლიენტის ნებისმიერი სხვა ანგარიშზე არსებული ნებისმიერი და ყველა ფასიანი ქაღალდი და გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს ნებისმიერი ისეთი ვალდებულების დასაფარავად ან შესამცირებლად, რომელიც კლიენტს შეიძლება იმ დროს ან მომავალში ჰქონდეს „გალტ ენდ თაგარტის“ მიმართ. ამგვარი უზრუნველყოფა, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ანგარიშებზე არსებულ საკრედიტო ნაშთებს, ფასიან ქაღალდებს, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტის“ ჩანაწერებში რეგისტრირებულია როგორც კლიენტის კუთვნილი, და „გალტ ენდ თაგარტთან“ კლიენტის ღია პოზიციების ღირებულებას.

11.2. თუ კლიენტი ვერ შეასრულებს წინამდებარე პირობებით დადგენილ რომელიმე ვალდებულებას, „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ, შეტყობინების ან სასამართლოს ბრძანების გარეშე, გაყიდოს ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი და გამოიყენოს გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები. ამგვარი გაყიდვა განხორციელდება ისეთი

საშუალებებით, რომლებსაც „გალტ ენდ თაგარტი“ საკუთარი გონივრული შეხედულებისამებრ გადაწყვეტს, და იმ ფასად, რომელსაც „გალტ ენდ თაგარტი“ საკუთარი გონივრული შეხედულებისამებრ საუკეთესო მისაღებ ფასად მიიჩნევს.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ ვაჭრობა ან სხვა საქმიანობა, რომელიც „გალტ ენდ თაგარტის“ ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს, არ განაპირობებს ინტერესთა კონფლიქტს და/ან არ არის საჭირო მის შესახებ „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ კლიენტისთვის შეტყობინება. ზემოხსენებულის შეულახავად, ინტერესთა კონფლიქტის წამოჭრის შემთხვევაში იგი იმართება და მოგვარდება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

13. დეფოლტი და დეფოლტისგან დაცვის საშუალებები

13.1. წინამდებარე მე-13 მუხლში მოცემული დებულებები ემატება ნებისმიერ სხვა უფლებებს, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტს“ ან რომელიმე მის აფილირებულ კომპანიას თუ მასთან დაკავშირებულ პირს აქვს წინამდებარე პირობების საფუძველზე, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, მე-11 მუხლში განსაზღვრულ გაყიდვის უფლებებს, და ნებისმიერ სხვა უფლებას, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტს“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აქვს.

13.2. „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, დაიტოვოს ან დააკავოს ნებისმიერი თანხები, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტს“ მართებს კლიენტისა ან რომლებსაც ის ინახავს კლიენტისთვის, თუ კლიენტს „გალტ ენდ თაგარტისთვის“ ან რომელიმე მისი აფილირებული კომპანიისა თუ დაკავშირებული პირისთვის გადასახდელი აქვს რაიმე თანხები.

13.3. კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, „გალტ ენდ თაგარტის“ შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს და შეტყობინების გარეშე, გაყიდოს, გამოიყენოს, ჩათვალოს და/ან ნებისმიერი სახით მოითხოვოს კლიენტის ყველა და ნებისმიერი ფასიანი ქაღალდები ან სხვა აქტივები და/ან მათგან მიღებული თანხები, რომლებიც ხელმისაწვდომია კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე და/ან რომლებიც იმყოფება „გალტ ენდ თაგარტის“ ან მასთან დაკავშირებულ პირების, მათ შორის დამოუკიდებელი ბროკერის და მასთან დაკავშირებული პირების ან აგენტების გამგებლობაში ან კონტროლის ქვეშ, „გალტ ენდ თაგარტის“ მიმართ კლიენტის ყველა და ნებისმიერი ვალდებულებების დაკმაყოფილების მიზნით.

13.4. ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენებიდან თითოეული წარმოადგენს დეფოლტის შემთხვევას კლიენტის ყველა კონტრაქტთან, ტრანზაქციასთან, ფასიან ქაღალდთან და „გალტ ენდ თაგარტთან“ არსებულ სხვა ბიზნესთან მიმართებით (მუხედავად იმისა, თუ დეფოლტის შემთხვევა „გალტ ენდ თაგარტთან“ ბიზნესის მხოლოდ ნაწილს ეხება):

13.4.1. თუ კლიენტი ვერ გადაიხდის რაიმე გადასახდელს ან ვერ შეასრულებს ნებისმიერ სხვა ქმედებას ან ვერ მოახერხებს, რომ არ შეასრულოს რაიმე ქმედება, როგორც ეს მოითხოვება წინამდებარე პირობებით ან „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ მისი დასაბუთებული შეხდულებისამებრ;

13.4.2. თუ კლიენტი ვერ გადაგზავნის ფულად სახსრებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის,

რომ „გალტ ენდ თაგარტს“ ან დამოუკიდებელ ბროკერს მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ ფასიანი ქაღალდები ნებისმიერი ტრანზაქციის საფუძველზე პირველივე ვადამოსულ თარიღზე;

13.4.3. თუ კლიენტი ვერ უზრუნველყოფს თავის ფასიან ქაღალდებს ან სხვა აქტივებს ნაღდი ანგარიშსწორებით ან ვერ მიიღებს ფასიან ქაღალდებს ან სხვა აქტივებს ნებისმიერი ტრანზაქციის საფუძველზე პირველივე ვადამოსულ თარიღზე;

13.4.4. თუ კლიენტი გარდაიცვლება ან ფსიქიკური დაავადებით დაავადდება;

13.4.5. თუ გაკეთებულია განაცხადი კლიენტთან დაკავშირებით, რომ დანიშნულია სასამართლო აღმასრულებელი, მეურვე, ადმინისტრატორი-ლიკვიდატორი ან მსგავსი მოხელე;

13.4.6. თუ კლიენტის რომელიმე ქონებაზე დაკისრებულია რაიმე ყადაღა, აღსრულება ან სხვა პროცესი და არ არის მოხსნილი, განთავისუფლებული ან გადახდილი შვიდი დღის განმავლობაში;

13.4.7. თუ რაიმე იპოთეკით ან გირავნობით შექმნილი რომელიმე უზრუნველყოფა აღსრულებადი ხდება კლიენტის წინააღმდეგ და იპოთეკარი ან მეგირავნე იღებს ზომებს უზრუნველყოფის ან გირავნობის აღსრულებისათვის;

13.4.8. თუ კლიენტის რომელიმე დავალიანება ხდება დაუყოვნებლივ გადასახდელი ან შეიძლება გამოცხადდეს ვადამოსულად და გადასახდელად დადგენილ ვადაზე ადრე კლიენტის მხრიდან შეუსრულებლობის გამო, ან თუ კლიენტი ვერ იხდის რაიმე დავალიანებას დადგენილ თარიღზე;

13.4.9. თუ კლიენტი არ წარუდგენს „გალტ ენდ თგარტს“ ნებისმიერ დროს მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტს, ან თუ კლიენტი სხვაგვარად სრულად ვერ ასრულებს პირობებით ან ნებისმიერი ტრანზაქციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მათ შორის, თავს იკავებს სავაჭრო მოთხოვნების შესრულებისგან;

13.4.10. თუ კლიენტის მიერ გაკეთებული რომელიმე განცხადება ან გარანტია არის ან გახდება არასწორი;

13.4.11. თუ ნებისმიერი მარეგულირებელი უწყება ან ორგანო „გალტ ენდ თაგარტს“, დამოუკიდებელ ბროკერს ან კლიენტს მოსთხოვენ პოზიციის (ან რომელიმე მისი ნაწილის) დახურვას;

13.4.12. თუ „გალტ ენდ თაგარტი“ ეჭვობს, რომ კლიენტი იქცევა თაღლითურად ან სხვა მხრივ კრიმინალურად;

13.4.13. თუ „გალტ ენდ თაგარტს“ საფუძვლიანი მიზეზი აქვს იმისათვის, რომ იფიქროს, რომ კლიენტის მიერ საინვესტიციო მოდულით სარგებლობა საზიანოა „გალტ ენდ თაგარტისთვის“ ან მისი აფილირებული კომპანიებისა და დაკავშირებული პირებისთვის ან მათი პროგრამული უზრუნველყოფისთვის, სისტემისა თუ კომპიუტერული ტექნიკისათვის; ან

13.4.14. თუ „გალტ ენდ თაგარტი“ სხვაგვარად დასაბუთებულად მიიჩნევს, რომ ეს აუცილებელია მისი ან მისი აფილირებული კომპანიებისა და დაკავშირებული პირების დაცვისთვის.

13.5. დეფოლტის შემთხვევის დადგომისას „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ:

13.5.1. გაყიდოს ან ნებისმიერი სახით გირავნობით დატვირთოს კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ყველა ფასიანი ქაღალდი ან კლიენტის უზრუნველყოფა, აქტივები და ქონება, რომელიც შეიძლება დროდადრო იყოს „გალტ ენდ თაგარტის“ ან ნებისმიერი მისი აგენტის და დაკავშირებული პირების, მათ შორის დამოუკიდებელი ბროკერის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ, ან გამოიყენოს ნებისმიერი გარანტია შეტყობინებისა თუ სასამართლოს ბრძანების გარეშე. უზრუნველყოფის, აქტივებისა და ქონების გაყიდვა

უნდა მოხდეს იმ საშუალებებით, რომლებსაც „გალტ ენდ თაგარტი“ თავისი გონივრული შეხედულებისამებრ გადაწყვეტს, და იმ ფასად, რომელსაც „გალტ ენდ თაგარტი“ საკუთარი გონივრული შეხედულებისამებრ საუკეთესო მისაღებ ფასად მიიჩნევს, იმ პირობით, რომ კლიენტის ნებისმიერი უზრუნველყოფის რეალიზებამდე შვიდი დღით ადრე „გალტ ენდ თაგარტი“ გაუგზავნის კლიენტს შეტყობინებას, თუ დაუყოვნებელი გაყიდვა არ არის აუცილებელი ზარალის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

13.5.2. იყიდოს ან გაყიდოს ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი, ინვესტიცია ან სხვა ქონება, თუ ეს აუცილებელია ან, „გალტ ენდ თაგარტის“ დასაბუთებული შეხდულებით, სავარაუდოდ აუცილებელია იმისათვის, რომ „გალტ ენდ თაგარტმა“ ან დამოუკიდებელმა ბროკერმა შეასრულონ ნებისმიერი ტრანზაქციის საფუძველზე საკუთარი ვალდებულებები; კლიენტი აუნაზღაურებს „გალტ ენდ თაგარტს“ შესყიდვის თანხას სრულად პლიუს ნებისმიერ დაკავშირებულ ხარჯებს;

13.5.3. გადასცეს ნებისიერი ფასიანი ქაღალდი, ინვესტიცია ან სხვა ქონება ნებისმიერ მესამე პირს ან სხვაგვარად განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც, „გალტ ენდ თაგარტის“ აზრით, სასურველია რომელიმე ტრანზაქციის დასახურად;

13.5.4. მოსთხოვოს კლიენტს დაუყოვნებლივ დახუროს და განახორციელოს ანგარიშსწორება ტრანზაქციასთან დაკავშირებით იმგვარად, როგორც ეს შეიძლება „გალტ ენდ თაგარტმა“ თავისი დასაბუთებული შეხედულებისამებრ მოითხოვოს;

13.5.5. დადოს ნებისმიერი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაში ისეთი საბაზრო განაკვეთებითა და ისეთ დროს, რომლებიც შეიძლება „გალტ ენდ თაგარტმა“ გადაწყვიტოს, ტრანზაქციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად;

13.5.6. ხელახლა წარადგინოს ინვოისი მთლიანად აქტივებზე ან მათ ნაწილზე, რომლებიც ნებისმიერი ანგარიშის დებიტის ან კრედიტის მხარესაა (აქ იგულისხმება „გალტ ენდ თაგარტის“ ან კლიენტის ვალდებულების შეცვლაც, რათა აქტივით მოხდეს ვალდებულების დაფარვა აქტივის საბაზრო ღირებულების ტოლი თანხის (რომელიც დადგენილია „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ მისი დასაბუთებული შეხედულებისამებრ) გადასახდელად იმ დღეს, როდესაც ხდება ხელახალი ინვოისის წარდგენა);

13.5.7. დახუროს ყველა ტრანზაქცია და გაქვითოს კლიენტისა და „გალტ ენდ თაგარტის“ ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ დაფიქსირებული თარიღისთვის, მესამე პირების მიმართ მოქმედებით;

13.5.8. შეაჩეროს ან დახუროს საინვესტიციო ანგარიში.

13.6. კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, განახორციელოს ამ მუხლში აღწერილი ნებისმიერი და ყველა ზომა კლიენტისთვის შეტყობინების გარეშე და აღიარებს, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ არ იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული ზომების განხორციელების რაიმე შედეგებზე, თუ „გალტ ენდ თაგარტის“ მხრიდან ამასთან დაკავშირებით სერიოზულ დაუდევრობას არ ექნება ადგილი. კლიენტი გააფორმებს დოკუმენტებს და შეასრულებს ქმედებებს, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტმა“ შეიძლება სთხოვოს „გალტ ენდ თაგარტისა“ და მასთან დაკავშირებული პირების იმ უფლებების დასაცავად, რომლებიც პირობებით ან კლიენტსა და „გალტ ენდ თაგარტთან“ დაკავშირებულ პირებს შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

13.7. თუ „გალტ ენდ თაგარტი“ გამოიყენებს ამ მუხლით განსაზღვრულ თავის უფლებას - გაყიდოს კლიენტის ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი ან ქონება, იგი ამას გააკეთებს

კლიენტისთვის შეტყობინების ან მის მიმართ ვალდებულების გარეშე, კლიენტის სახელით, და გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებს გამოიყენებს „გალტ ენდ თაგარტის“ ან „გალტ ენდ თაგარტთან“ დაკავშირებული პირების მიმართ კლიენტის ნებისმიერი ვალდებულების დასაფარად.

13.8. წინამდებარე პირობებით ან შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული „გალტ ენდ თაგარტის“ სხვა უფლებების შეულახავად, „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება, ნებისმიერ დროს და შეტყობინების გარეშე, გააერთიანოს კლიენტის მიერ „გალტ ენდ თაგარტთან“ ან რომელიმე მასთან დაკავშირებულ პირთან არსებული ნებისმიერი ანგარიშები და გაქვითოს ნებისმიერი და ყველა თანხა, რომელიც „გალტ ენდ თაგარტის“ ან რომელიმე მასთან დაკავშირებული პირისთვის მართებთ ან რომელიც „გალტ ენდ თაგარტს“ ან მასთან დაკავშირებულ პირს მართებს იმგვარად, როგორც ამას „გალტ ენდ თაგარტი“ დაადგენს თავისი დასაბუთებული შეხედულებისამებრ.

14. კლიენტის გარანტიები და განცხადებები

14.1. კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

14.1.1. იგი წარმოადგენს სრულწლოვან ფიზიკურ პირს და არ აქვს რაიმე სამართლებრივი ქმედუუნარობა და მის მიმართ არ მოქმედებს რაიმე კანონი ან რეგულაცია, რომელიც ხელს შეუშლიდა მის მოქმედებას წინამდებარე პირობების საფუძველზე ან მის მიერ ამ პირობებით გათვალისწინებული რაიმე ტრანზაქციის შესრულებას;

14.1.2. მას მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა და აქვს უფლებამოსილება, იმოქმედოს წინამდებარე პირობების საფუძველზე;

14.1.3. ინვესტიციები ან კლიენტის მიერ ნებისმიერი მიზნით მოწოდებული სხვა აქტივები, წინამდებარე პირობების საფუძველზე, არ დაექვემდებარება რაიმე გირავნობის უფლებას, ყადაღას, გირავნობას ან დატვირთვას და მათი საბოლოო მესაკუთრე იქნება კლიენტი;

14.1.4. იგი ასრულებს მის მიმართ მოქმედ ყველა კანონს, მათ შორის, შეუზღუდავად, ყველა საგადასახადო კანონსა და რეგულაციას, სავალუტო ოპერაციების კონტროლის მოთხოვნებს და რეგისტრაციის მოთხოვნებს; და

14.1.5. კლიენტის მიერ „გალტ ენდ თაგარტისთვის“ მიწოდებული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი და არანაირ ასპექტში არ არის შეცდომაში შემყვანი.

14.2. მიიჩნევა, რომ ზემოთ მოცემული გარანტიები და განცხადებები გამეორდება ყოველ ჯერზე, როდესაც მომავალში კლიენტი, კლიენტთან ურთიერთობის განმავლობაში, მითითებას მისცემს „გალტ ენდ თაგარტს“.

14.3. კლიენტი აცნობიერებს და აღიარებს, რომ მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი, იცოდეს ყველა იმ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული უფლებებისა და პირობების შესახებ, რომლებიც შეძენილია, გაყიდულია და ინახება მის საინვესტიციო ანგარიშზე, მათ შორის შერწყმის, რეორგანიზაციის, აქციების გაყოფის, სახელის ცვლილებების ან სიმბოლოების ცვლილებების, დივიდენდების, ოფციონის სიმბოლოებისა და ოფციონთან დაკავშირებული დოკუმენტების შესახებ. ამას გარდა, კლიენტს ესმის და აღიარებს, რომ ზოგიერთმა ფასიანმა ქაღალდმა კლიენტს შეიძლება მიანიჭოს ღირებული უფლებები, რომლებიც შეიძლება ამოიწუროს, თუ კლიენტი არ მიიღებს კონკრეტულ ზომებს. მხოლოდ კლიენტია

პასუხისმგებელი ვადის ამოწურვის ყველა თარიღის, გამოსყიდვის თარიღისა და იმ გარემოებების შესახებ ცოდნაზე, რომლებშიც კლიენტის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებები შეიძლება იყოს გამოთხოვილი, გაუქმებული ან შეცვლილი. „გალტ ენდ თაგარტს“ შეუძლია, თუმცა არანაირად არ არის ვალდებული, აცნობოს კლიენტს ნებისმიერი მოახლოებული ვადის ამოწურვის თუ გამოსყიდვის თარიღი. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ „გალტ ენდ თაგარტს“ ან დამოუკიდებელ ბროკერს აქვთ უფლება, წესრიგში მოიყვანონ საინვესტიციო ანგარიში ნებისმიერი შეცდომის გამოსასწორებლად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „გალტ ენდ თაგარტი“ არ არის ვალდებული, განახორციელოს ნებისმიერი აღნიშნული ქმედება და მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ზარალისთვის იმ შემთხვევაში, თუ არ განახორციელებს ამ ქმედებებს.

14.4. კლიენტს ესმის, რომ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ ან მის თანამშრომლებს საინვესტიციო მოდულში არსებული ინსტრუმენტებით სარგებლობაში დახმარებისთვის მიმართავს, ეს დახმარება შემოიფარგლება მხოლოდ ინსტრუმენტის ფუნქციონალობის განმარტებით და ამგვარი დახმარება არ წარმოადგენს რჩევას ინვესტიციასთან დაკავშირებით, მოსაზრებას რომელიმე ტრანზაქციის შესაფერისობის შესახებ ან რაიმე დავალებების მოთხოვნას.

15. პასუხისმგებლობის შეზღუდვა და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

15.1. „გალტ ენდ თაგარტს“ ან რომელიმე მის აფილირებულ კომპანიას თუ პარტნიორს, მის თანამდებობის პირებს, დირექტორებს, თანამშრომლებს ან წარმომადგენლებს (თითოეული ამგვარი პირი მოიხსენიება როგორც **„პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული პირი“**) არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე სახის და ხასიათის ხარჯებზე, ზარალზე, დანახარჯებზე, ზიანზე, ვალდებულებებზე, მოთხოვნებზე, ვალებზე, ჯარიმებზე, გადასახდელებზე, სარჩელის აღძვრის საფუძველზე, პირგასამტეხლოებსა და გადასახადებზე (მათ შორის იურიდიულ ხარჯებსა და ადვოკატების ჰონორარებზე) (მიუხედავად იმისა, ზემოხსენებული ცნობილია მათთვის თუ არა, ამჟამინდელია თუ მომავალი, აბსოლუტური თუ შესაძლო, გადახდილი თუ გადაუხდელი, პირდაპირი თუ ირიბი, ვადამოსული თუ ვადამოუსვლელი, დარიცხული თუ დაურიცხავი, განცხადებული თუ განუცხადებელი, მესამე პირის პრეტენზიასთან დაკავშირებული თუ დაუკავშირებელი თუ სხვაგვარი (შემდგომში **„ზიანი“**), რომლებსაც კლიენტი განიცდის ან რომლებიც კლიენტს მიადგება კლიენტის მიერ სერვისებით სარგებლობის შედეგად ან მათთან დაკავშირებით, ან ნებისმიერ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კლიენტის საინვესტიციო ანგარიშს ეხება, ან „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მისი უფლებების შესაბამისად განხორციელებული ქმედებების შედეგად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამგვარი ზიანი ფაქტობრივი ზიანია და კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილებით ან ბრძანებით, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას, დადგენილია, რომ ის გამოწვეულია მხოლოდ და უშუალოდ „გალტ ენდ თაგარტის“ სერიოზული დაუდევრობით ან განზრახ არასათანადო ქცევით. ზემოხსენებულის ზოგადი ხასიათის შეულახავად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებულ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არანაირ გარემოებებში რაიმე ირიბი, განსაკუთრებული, გვერდითი თუ გამომდინარე ზიანისთვის, დაკარგული მოგებისა თუ სხვა დანაკარგებისთვის

(მიუხედავად იმისა, შესაძლებელი იყო თუ არა ამგვარი დანაკარგებისა თუ ზიანის პროგნოზირება თუ ისინი „გალტ ენდ თაგარტის“ დაუდევრობით არის გამოწვეული).

15.2. კლიენტი განსაკუთრებულად აცნობიერებს, აღიარებს და ღებულობს იმ ფაქტს, რომ „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ მიწოდებული ნებისმიერი საბაზრო რეკომენდაცია და ნებისმიერი ინფორმაცია არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის შეთავაზებას ან ფასიანი ქაღლდების ყიდვის ან გაყიდვისკენ წაქეზებას და რომ ამგვარი რეკომენდაცია და ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ ემყარება ინფორმაციას ისეთი წყაროებიდან, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტს“ სანდოდ მიაჩნია, შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ბროკერის მოსაზრებას და ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს არასრული, შეუმოწმებელი ან მისი შემოწმება შეუძლებელი იყოს. „გალტ ენდ თაგარტს“ არ ევალება ამგვარი ინფორმაციის შესახებ ცნობების შეკრება, მონიტორინგი, გამოძიება ან შემოწმება, თუმცა „გალტ ენდ თაგარტი“ შეეცდება, რომ ასეთი ინფორმაცია სანდო იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში „გალტ ენდ თაგარტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას, არ იძლევა გარანტიას და არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტისთვის მიწოდებული რაიმე ინფორმაციის ან ვაჭრობასთან დაკავშირებული რეკომენდაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე.

15.3. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებულ პირებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა და კლიენტი ვალდებულია, აანაზღაუროს და დაიცვას პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული პირები ყველანაირი ზიანისგან, რომელიც მათ შეიძლება განიცადონ ან მიადგეთ ქვემოთ ჩამოთვლილის შედეგად ან მასთან დაკავშირებით:

15.3.1. კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების შეუსრულებლობა;

15.3.2. „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ნებისმიერი ტრანზაქციის დადება;

15.3.3. „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის განხორციელების უფლება „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს დეფოლტის შემთხვევის დროს;

15.3.4. ნებისმიერი მესამე პირის ქმედებები, რომლებიც ეხება კლიენტის მიერ კონტენტის ან სხვა მესამე პირის კონტენტის, ანდა საინვესტიციო მოდულის ან „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდის შესახებ მოპოვებული სხვა ინფორმაციის მიღებას და გამოყენებას;

15.3.5. ნებისმიერი მესამე პირის ქმედებები, რომლებიც ეხება საინვესტიციო ანგარიშის გამოყენებას;

15.3.6. ნებისმიერი მესამე პირის პრეტენზიები კლიენტის მიმართ, რომლებიც წამოიჭრება ან დაკავშირებულია სერვისებთან და/ან წინამდებარე პირობებთან;

15.3.7. კლიენტის ან კლიენტის აგენტის მიერ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენა, ქმედება ან უმოქმედობა ან სავარაუდო არასწორი ინფორმაციის წარმოდგენა, მოქმედება ან უმოქმედობა;

15.3.8. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული პირების მიერ კლიენტის ან კლიენტის აგენტის მითითებების შესრულება ან კლიენტის ან მათი უკანონო თუ არაგონივრული მითითებების შეუსრულებლობა;

15.3.9. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული პირების ნებისმიერი საქმიანობა ან სერვისები საინვესტიციო ანგარიშთან დაკავშირებით კლიენტის მითითებების და/ან წინამდებარე პირობების შესაბამისად;

15.3.10. დამოუკიდებელი ბროკერის ნებისმიერი საქმიანობა ან სერვისები საინვესტიციო ანგარიშთან დაკავშირებით;

15.3.11. კლიენტის ნებისმიერი ქმედებები ან კლიენტის აგენტის ქმედებები ბროკერის

საქმიანობის დაწყებამდე; ან

15.3.12. ნებისმიერი იმგვარი პირის მიერ, რომელსაც არ აკონტროლებს „გალტ ენდ თაგარტი“ (ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, მოიცავს „გალტ ენდ თაგარტის“ ნებისმიერ დაკავშირებულ პირს ან აფილირებულ კომპანიას), კლიენტის მიმართ რაიმე ვალდებულებების შეუსრულებლობა,

თუ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზიანი არ იქნება განცდილი ან მიყენებული „გალტ ენდ თაგარტის“ სერიოზული დაუდევრობის ან განზრახ არასათანადო ქცევის შედეგად.

15.4. კლიენტი თანახმაა, რომ „გალტ ენდ თაგარტის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იგი არ მოაგვარებს, არ აღიარებს და ან დაეთანხმება ნებისმიერი გადაწყვეტილების ოქმს ნებისმიერ მიმდინარე ან მოსალოდნელ სარჩელთან ან სასამართლო საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება „გალტ ენდ თაგარტის“ საქმიანობას წინამდებარე პირობების საფუძველზე, თუ აღნიშნული მოგვარება, აღიარება და დათანხმება არ მოიცავს „გალტ ენდ თაგარტის“ და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული სხვა პირების უპირობო განთავისუფლებას ყველანაირი პასუხისმგებლობისგან, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული სარჩელიდან თუ სასამართლო საქმიდან, და ასევე არ მოიცავს განცხადებას პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული პირების (ან მათი სახელით) დანაშაულის, ბრალეულობის ან მოქმედების შეუძლებლობის შესახებ ან ამის აღიარებას.

15.5. ზემოთ მოცემული ბრალის გამომრიცხველი და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების დებულებები ემატება და არ ლახავს ყველა სხვა ბრალის გამომრიცხველ და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების დებულებას, რომლებიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ან ნაგულისხმევი „გალტ ენდ თაგარტის“ სასარგებლოდ ზოგადად კანონმდებლობით, ან სხვა სახით ეხება „გალტ ენდ თაგარტს“.

15.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული „გალტ ენდ თაგარტის“ ან პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებული ნებისმიერი სხვა პირების დანიშვნად კლიენტის ნდობით აღჭურვილ პირებად.

15.7. წინამდებარე მე-15 მუხლის მოქმედება გრძელდება და ინარჩუნებს ძალას კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

16. კონფიდენციალურობა და „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ინფორმაციის გამჟღავნება

16.1. არც ერთი მხარე არ გაამჟღავნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება მეორე მხარის ბიზნესს, ინვესტიციებს, ფინანსებს ან სხვა კონფიდენციალურ საკითხებს და რომლებიც მან შეიტყო თავისი მოვალეობების შესრულებისას ან რომელსაც იგი ფლობს; თითოეული მხარე ყველა ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი ამგვარი გამჟღავნება. თუმცა ეს დებულება არ იმოქმედებს, თუკი მხარე ვალდებულია, გაამჟღავნოს ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობის ან საკანონმდებლო თუ ზედამხედველი ორგანოს მითითების საფუძველზე, ან სხვა ისეთი პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც, კანონის შესაბამისად, აქვს უფლება, მოითხოვოს ინფორმაციის გამჟღავნება, ან იმისათვის, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, საკმარისად შეასრულოს თავისი ვალდებულებები

წინამდებარე პირობების საფუძველზე.

16.2. წინამდებარე პირობებზე თანხმობით კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, კლიენტის წინასწარ შეუტყობინებლად გაამჟღავნოს იმგვარი ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რომელიც შეიძლება მოთხოვნილი იყოს ნებისმიერი კანონით, რეგულაციით თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ, მათ შორის ნებისმიერი შესაბამისი საბაზრო წესებით.

16.3. წინამდებარე პირობებზე თანხმობით კლიენტი „გალტ ენდ თაგარტს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, გასცეს კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, რომელიც „გალტ ენდ თაგარტს“ წარედგინა ან მან მოიპოვა დამოუკიდებელი ბროკერისგან ან ნებისმიერი იურიდიული პირისგან „გალტ ენდ თაგარტის“ პარტნიორებიდან ან პირისგან „გალტ ენდ თაგარტთან“ დაკავშირებული სხვა პირებისა თუ კომპანიებიდან. ეს პირობა დამატებით დადგენილია მე-17 მუხლში. „გალტ ენდ თაგარტს“, მის პარტნიორებს ან მასთან დაკავშირებულ სხვა პირებსა თუ კომპანიებს აქვთ უფლება, გასცენ აღნიშნული პერსონალური ინფორმაცია მარეგულირებელ საკითხებთან შესაბამისობის, საინვესტიციო კონსულტაციების გაწევის და განხორციელების, საინვესტიციო სერვისებისა და იმ სხვა სერვისების გაწევის მიზნით, რომლებიც „გალტ ენდ თაგარტმა“ შეიძლება შესთავაზოს კლიენტებს, ასევე მარკეტინგული საქმიანობის წარმოების და კლიენტთან ურთიერთობის მართვის მიზნით. ამას გარდა, „გალტ ენდ თაგარტს“ აქვს უფლება, გაუზიაროს აღნიშნული პერსონალური ინფორმაცია დამოუკიდებელ სააგენტოს, რომელიც მუშაობს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით კლიენტის ანალიზის შესასრულებლად და რომელსაც „გალტ ენდ თაგარტის“ გაყიდვებისა და მერკეტინგის სამსახური გამოიყენებს, ასევე ნებისმიერ წარმომადგენელ ბროკერს, რომელიც „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით მუშაობს კომპლექსური შემოწმების შესრულებაზე და ანგარიშზე განაცხადების დამტკიცებაზე.

16.4. კლიენტის პერსონალური ინფორმაცია შეინახება არაუმეტეს პერიოდისა, რომელიც აუცილებელია წინამდებარე პირობებში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად.

16.5. კლიენტი უფლებამოსილია, მოითხოვოს აღნიშნული პერსონალური ინფორმაციის შესწორება, მასში დამატებების შეტანა, წაშლა ან დაბლოკვა, თუ ის არ არის სწორი, სრული ან შეუსაბამოა დამუშავების მიზნებისათვის, ან თუ მუშავდება ნებისმიერი სხვა, უკანონო სახით. გარკვეულ გრემოებებში კლიენტს ასევე აქვს უფლება, ლეგიტიმური მიზეზებით უარი თქვას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მონაცემთა დამუშავების შესახებ შესაბამის რეგულაციებში დადგენილი პროცედურების შესაბამისად და მიმართოს სამართლებრივი დაცვის სხვა არსებულ საშუალებებს აღნიშნული პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით.

17. დამატებითი შენიშვნა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით

17.1. წინამდებარე პირობებზე თანხმობით კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ შეაგროვებს, გამოიყენებს, დაამუშავებს, შეინახავს და გაამჟღავნებს კლიენტის ყველანაირ პერსონალურ ინფორმაციას (გარდა სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა), მათ შორის კლიენტის მიერ ანგარიშის გახსნისას წარდგენილ

პერსონალურ ინფორმაციას (რაც მათ შორის შუზღუდავად მოიცავს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, მოქალაქეობა, რეზიდენტობა, სქესი, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი), კოდი საგადასახადო მიზნებისთვის, FATCA სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პოლიტიკურად აქტიური პირის (PEP) სტატუსი, ინფორმაცია დასაქმების შესახებ (სტატუსი, სექტორი, ინფორმაცია დამსაქმებლის შესახებ და პოზიცია), ფინანსური ინფორმაცია (საშუალო წლიური შემოსავალი და შემოსავლის წყარო), ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ბირჟებთან ან მუნიციპალურ სავაჭრო/სადილერო კომპანიებთან აფილირების შესახებ ინფორმაცია), კლიენტისთვის სერვისების მისაწოდებლად (სხვა საკითხებთან ერთად), სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად და/ან არასათანადო ქმედების თავიდან ასაცილებად და გამოსავლენად.

17.2. წინამდებარე პირობებზე თანხმობით კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ კლიენტის ანგარიშის გახსნის, სერვისების მიწოდების, ასევე კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნებისათვის „გალტ ენდ თაგარტს“ უფლება აქვს, გადასცეს კლიენტის პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, შეუზღუდავად, 17.1 პუნქტში მითითებული პერსონალური ინფორმაცია) დამოუკიდებელ ბროკერს (დამოუკიდებელ ბროკერს წარმოადგენს DriveWealth LLC, აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატში რეგისტრირებული კომპანია). კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ აღნიშნული თანხმობის გამოთხოვის შემთხვევაში „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფლება, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სერვისების გაწევა კლიენტისათვის და დახუროს კლიენტის ანგარიშები „გალტ ენდ თაგარტთან“ და დამოუკიდებელ ბროკერთან.

17.3. წინამდებარე პირობებზე თანხმობით კლიენტი თანახმაა, რომ კლიენტისთვის ნებისმიერი პროდუქტის/სერვისების შეთავაზების მიზნით „გალტ ენდ თაგარტმა“ შეაგროვოს, გამოიყენოს, დაამუშაოს და დამოუკიდებელ ბროკერს გაუმჟღავნოს კლიენტის მთელი პერსონალური ინფორმაცია (გარდა სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა), მათ შორის კლიენტის მიერ წარმოდგენილი პერსონალური ინფორმაცია (მათ შორის, შეუზღუდავად, 17.1 პუნქტში მითითებული პერსონალური ინფორმაცია).

17.4. წინამდებარე პირობებზე თანხმობით კლიენტი აძლევს თანხმობას „გალტ ენდ თაგარტს“, დამოუკიდებელი ბროკერის და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ კლიენტისთვის სერვისების მიწოდების მიზნით და/ან კლიენტისთვის ბანკის პროდუქტის/სერვისების შეთავაზების და/ან შეთავაზების შესაძლებლობის შესწავლის მიზნით გადასცეს ბანკს მთელი ინფორმაცია კლიენტის შესახებ, მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები (მათ შორის, შეუზღუდავად, 17.1 პუნქტში მითითებული პერსონლური ინფორმაცია).

18. ცვლილებები

18.1. „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, კლიენტისთვის ხელსაყრელი ან ნეიტრალური ნებისმიერი ცვლილებები წინამდებარე პირობებში შეიტანოს შეტყობინების გარეშე. ცვლილებები, რომლებიც არ არის კლიენტისთვის ხელსაყრელი, შეიძლება შეტანილი იქნეს ნებისმიერ დროს, სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. „გალტ ენდ თაგარტი“ კლიენტს შეტყობინებას

გაუგზავნის ინფორმაციის გრძელვადიან მატარებელზე. მიიჩნევა, რომ კლიენტმა მიიღო აღნიშნული ცვლილებები, თუ ის მათი ძალაში შესვლის სავარაუდო თარიღამდე არ აცნობებს „გალტ ენდ თაგარტს“, რომ არ ეთანხმება ამ ცვლილებებს. თუ კლიენტი არ ეთანხმება ცვლილებებს, „გალტ ენდ თაგარტს“ უფლება აქვს, შეაჩეროს საინვესტიციო ანგარიში და განახორციელოს ქმედებები მის მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადაში დასახურად. წინამდებარე პირობების ნებისმიერი შეცვლილი ვერსია აუქმებს კლიენტსა და „გალტ ენდ თაგარტს“ შორის გაფორმებული პირობების ნებისმიერ წინა ვერსიას. მომავალში კლიენტმა უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე პირობების უახლესი ვერსიით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდზე.

19. შეწყვეტა

19.1. წინამდებარე პირობები ძალაში დარჩება მათ შეწყვეტამდე. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, პირობების შეწყვეტა გულისხმობს კლიენტის საინვესტიციო ანგარიშის მოქმედების შეწყვეტას/დახურვას. შეწყვეტა არ მოახდენს ზეგავლენას ამგვარ შეწყვეტამდე არსებულ მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებზე.

19.2. კლიენტი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე პირობები ნებისმიერ დროს. პირობების შეწყვეტამდე კლიენტმა უნდა წარადგინოს დავალებები მისი არსებული პოზიციების გასაყიდად და საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები გადაიტანოს კლიენტის პერსონალურ საბანკო ანგარიშზე mBank-ში. მიუხედავად “DriveWealth-ის მომხმარებლის ანგარიშის შესახებ ხელშეკრულებაში“ არსებული რაიმე საწინააღმდეგო დებულებისა, კლიენტის ფასიანი ქაღალდების გადატანა საინვესტიციო ანგარიშიდან სხვა საბროკერო თუ დეპოზიტარულ ანგარიშებზე არ არის შესაძლებელი.

19.3. „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე პირობები ან შეაჩეროს კლიენტის ანგარიში ან მომსახურების ნებისმიერი ნაწილი, ნებისმიერ დროს, შეტყობინებით თუ შეტყობინების გარეშე, რაც ძალაში შევა დაუყოვნებლივ (ან მოგვიანებით, „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრულ დროს), კანონმდებლობით, რეგულაციებით, მარეგულირებელი ორგანოს დავალებით/ბრძანებით, წინამდებარე პირობებით ან/და „გალტ ენდ თაგარტის“ შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ან/და და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ანგარიშის დახურვა „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ შესაძლოა ასევე განხორციელდეს, თუ აღნიშნული მოთხოვნილი იქნა სს „საქართველოს ბანკის“ ან „დამოუკიდებელი ბროკერის“ მიერ მათივე პირობების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, თუ, „გალტ ენდ თაგარტის“ შეხედულებისამებრ, ადგილი აქვს დეფოლტის შემთხვევას ან თუ კლიენტი სხვაგვარად ვერ ასრულებს წინამდებარე პირობების რომელიმე დებულებას, ან თუ კლიენტის ანგარიში არის არააქტიური და ანგარიშზე აქვს ნულოვანი ბალანსი 3 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში, „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფლება, დაუყოვნებლივ (ან მოგვიანებით, „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრულ დროს) შეაჩეროს ან დახუროს ანგარიში შეტყობინების გარეშე. „გალტ ენდ თაგარტის“, სს „საქართველოს ბანკის“ ან „დამოუკიდებელი ბროკერის“ მიერ შეწყვეტის შემთხვევაში „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფლება, დახუროს ნებისმიერი ღია პოზიციები საინვესტიციო ანგარიშზე და კლიენტის საინვესტიციო ანგარიშზე

არსებული შესაბამისი თანხები („გალტ ენდ თაგარტის“ მიმართ არსებული კლიენტის ნებისმიერი გადასახდელის/დავალიანების გამოკლებით) გონივრულ დროში, როგორც ამას „გალტ ენდ თაგარტი“ გადაწყვეტს, გადაიტანოს კლიენტის პერსონალურ საბანკო ანგარიშზე. მიუხედავად “DriveWealth-ის მომხმარებლის ანგარიშის შესახებ ხელშეკრულებაში“ არსებული რაიმე საწინააღმდეგო დებულებისა, კლიენტის ფასიანი ქაღალდების გადატანა საინვესტიციო ანგარიშიდან სხვა საბროკერო თუ დეპოზიტარულ ანგარიშებზე არ არის შესაძლებელი.

19.4. კლიენტი აღიარებს და ათვითცნობიერებს, რომ საინვესტიციო ანგარიშზე წვდომისთვის მას უნდა ჰქონდეს აქტიური საბანკო ანგარიში სს „საქართველოს ბანკში“. სს „საქართველოს ბანკში“ კლიენტის უკანასკნელი ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტის საინვესტიციო ანგარიში შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი. mBank-ზე წვდომა სავალდებულოა იმისათვის, რომ კლიენტს ჰქონდეს წვდომა საინვესტიციო მოდულზე და, შესაბამისად, საინვესტიციო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს სურს დახუროს სს „საქართველოს ბანკში“ არსებული მისი უკანასკნელი ანგარიში, კლიენტმა, აღნიშნული უკანასკნელი საბანკო ანგრიშის დახურვამდე, უნდა წარადგინოს დავალებები მისი არსებული პოზიციების გასაყიდად და საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები გადაიტანოს კლიენტის პერსონალურ საბანკო ანგარიშზე mBank-ში.

19.5. დამოუკიდებელ ბროკერს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, კლიენტის შეტყობინების საფუძველზე თუ შეტყობინების გარეშე, დახუროს კლიენტის ანგარიში ან ნებისმიერი მისი ფუნქცია ან შეცვალოს მათი ხასიათი, შემადგენლობა ან ხელმისაწვდომობა.

19.6. „გალტ ენდ თაგარტს“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის ან რომელიმე მესამე პირის მიმართ სერვისის ან საინვესტიციო მოდულის რომელიმე კონტენტის, მახასიათებლისა და ა.შ. შეწყვეტის ან შეჩერების გამო, ან შეწყვეტასა თუ შეჩერებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიების გამო.

19.7. თუ კლიენტთან ურთიერთობა შეწყდება მე-19 მუხლის შესაბამისად, მხარეებს შორის პრეტენზიები შეიძლება საბოლოოდ მოგვარდეს ურთიერთჩათვლის გზით, „გალტ ენდ თაგარტის“ გადაწყვეტილებისამებრ. „გალტ ენდ თაგარტს“ უფლება აქვს, ურთიერთჩათვლის მიზნებისათვის დახუროს კლიენტის ღია პოზიციები, რომელთა ღირებულება დადგინდება იმ დღის საბაზრო ტარიფების შესაბამისად, როდესაც „გალტ ენდ თაგარტი“ გადაწყვეტს პოზიციების დახურვას. ერთ-ერთი მხარის მიერ გადასახდელი საბოლოო თანხა იქნება მხარეთა გადახდის ვალდებულებებს შორის განსხვავება.

19.8. წინამდებარე ხელშეკრულებაზე დათანხმებით, კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაგეგმილია „გალტ ენდ თაგარტის“, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მხარის ჩანაცვლება სს „საქართველოს ბანკის“ მიერ, რომელზეც გადადის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ჩანაცვლების შედეგად, „გალტ ენდ თაგარტსა“ და კლიენტს შორის გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტს მოქმედებას. აღნიშნულთან დაკავშრებით კლიენტი ინფორმირებული იქნება 30 (ოცდაათი)

კალენდარული დღით ადრე. საბროკერო მომსახურების გამწევი მხარის ცვლილება გამოიწვევს კლიენტსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის ახალი ხელშეკრულების დადებას, რასთან დაკავშირებითაც კლიენტი გონივრული ვადით ადრე მიიღებს შეტყობინებას ელექტრონული სახით ელ. ფოსტაზე.

20. მარეგულირებელი უწყება

20.1. „გალტ ენდ თაგარტის“ რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

21. დავები და საჩივრები

21.1. თუ კლიენტი მოისურვებს დავალების შესრულების ან ვაჭრობის ფასისა და შეფასების გაპროტესტებას, კლიენტმა დავით უნდა მიმართოს ანგარიშის მენეჯერს ან „გალტ ენდ თაგარტის“ სხვა თანამშრომელს, რომელიც შეისწავლის საკითხს და დროულად, ჩვეულებრივ, 10 სამუშაო დღეში, გასცემს კლიენტს პასუხს.

21.2. თუ კლიენტმა რაიმე საკითხით ან პრობლემით მიმართა ანგარიშის მენეჯერს ან „გალტ ენდ თაგარტის“ სხვა თანამშრომელს და დროულად არ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი, კლიენტმა „გალტ ენდ თაგარტს“ უნდა წარუდგინოს წერილობითი საჩივარი. „გალტ ენდ თაგარტი“ გამოიკვლევს საკითხს და პასუხს გასცემს საჩივარს.

22. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქციის არჩევა

22.1. კლიენტთან ურთიერთობა და წინამდებარე პირობები იმართება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც ერთადერთი და ექსკლუზიური მარეგულირებელი კანონმდებლობაა.

22.2. კლიენტი და „გალტ ენდ თაგარტი“ შეთანხმდნენ, რომ კლიენტთან ურთიერთობასთან და წინამდებარე პირობებთან, ასევე კლიენტსა და „გალტ ენდ თაგარტს“ შორის ნებისმიერ და ყველა გარიგებასთან დაკავშირებით ექსკლუზიური იურისდიქცია ექნებათ საქართველოს სასამართლოებს და საქართველოს სასამართლოები იქნება ის ერთადერთი და ექსკლუზიური ადგილი, სადაც განიხილება მათთან დაკავშირებული დავები. თუმცა „გალტ ენდ თაგარტი“ იტოვებს უფლებას, წამოიწყოს სამართლებრივი პროცესი ნებისმიერ კომპეტენტურ სასამართლოსა და იურისდიქციაში, რომელსაც ის შესაფერისად მიიჩნევს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, იმ იურისდიქციებში, სადაც კლიენტია მოქალაქე ან რეზიდენტი, ასევე იურისდიქციებში, რომლებშიც კლიენტი აქტივებს ფლობს.

22.3. ამ 22-ე მუხლის მოქმედება გრძელდება და ინარჩუნებს ძალას წინამდებარე პირობების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგაც.

23. სხვადასხვა

23.1 თუ ნებისმიერ დროს წინამდებარე პირობების რომელიმე დებულება ნებისმიერი

თვალსაზრისით გახდება უკანონო, ძალადაკარგული ან აღუსრულებელი ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის საფუძველზე, ეს არ მოახდენს ზეგავლენას პირობების დანარჩენი დებულებების კანონიერებაზე, მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე აღნიშნული იურისდიქციის კანონმდებლობის საფუძველზე და არც ამგვარი დებულების კანონიერებაზე, მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე ნებისმიერი სხვა იურისდიქციის კანონმდებლობის საფუძველზე.

23.2 „გალტ ენდ თაგარტს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის მიმართ რაიმე ზარალისთვის, შეუსრულებლობისთვის, შეფერხებისთვის ან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მისი ვალდებულებების შესრულების დაყოვნებისთვის, თუ აღნიშნული ზარალი, შეუსრულებლობა, შეფერხება ან დაყოვნება პირდაპირ თუ ირიბად გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომლებიც არ ექვემდებარება მის კონტროლს. აღნიშნული ფორსმაჟორული გარემოებები მოიცავს, შეუზღუდავად, გამოცხადებულ თუ გარდაუვალ ომს, ტერორისტულ აქტებს, აჯანყებას, სამოქალაქო არეულობას, ბუნებრივ კატასტროფებს, სხვა მიზეზებს, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია როგორც „სტიქიური უბედურებები“, ნორმატიულ დებულებებს, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გატარებულ ზომებს, გაფიცვებს, ჩაკეტვას, ბოიკოტს ან ბლოკადას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა „გალტ ენდ თაგარტი“ კონფლიქტის მხარე, მათ შორის შემთხვევებს, როდესაც „გალტ ენდ თაგარტის“ ფუნქციების მხოლოდ ნაწილს მიადგა ზეგავლენა ასეთი მოვლენების შედეგად, ასევე ნებისმიერ ტექნიკურ სირთულეს, როგორიცაა სატელეკომუნიკაციო გაუმართაობა ან შეფერხება, „გალტ ენდ თაგარტის“ ვებ-გვერდის ან საინვესტიციო მოდულის მიუწვდომლობა mBank-ში (მაგ. ტექნიკური შეფერხების გამო), კიბერ-შეტევები ან კიბერ-ინციდენტები, საბირჟო ან ბაზრის წესები, ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო სისტემების გაუმართაობის, მექანიკური ან ელექტრონული გაუმართაობის შედეგად ვაჭრობის შეჩერება, მესამე პირების მითითებების შესრულება ან ნებისმიერი სხვა მიზეზი, რომელიც არ ექვემდებარება „გალტ ენდ თაგარტის“ კონტროლს, მიუხედავად იმისა, შესაძლებელი იყო თუ არა ასეთი მიზეზის პროგნოზირება. ამას გარდა, „გალტ ენდ თაგარტს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ზოგადი საბაზრო პირობებით გამოწვეული ზარალისთვის.

23.3 კლიენტს არა აქვს უფლება, გადასცეს თავისი უფლებები ან გადააკისროს სხვა მხარეს პირობებით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებები, მაშინ, როცა „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია, გადასცეს თავისი უფლებები ან გადააკისროს მესამე პირ-სერვისების მიმწოდებელს თავისი ვალდებულებები.

23.4 „გალტ ენდ თაგარტს“ უფლება აქვს, სხვადასხვა ინვესტიციებისთვის, ინსტრუმენტებისა და კლიენტების ჯგუფებისათვის უზრუნველყოს დამატებითი სერვისები და ანგარიშები, რომლებიც შეიძლება რეგულირდებოდეს შესაბამისი დამატებითი ბიზნეს-პირობებით. კლიენტი აცნობიერებს, ესმის და თანახმაა, რომ:

23.4.1. კლიენტებისთვის შეთავაზებული აღნიშნული დამატებითი ბიზნეს-პირობები წინამდებარე პირობების დამატებაა; და

23.4.2. კლიენტმა არ უნდა წამოიწყოს რიამე ტრანზაქცია, თუ არ აქვს გათვითცნობიერებული და მიღებული ბიზნეს-პირობები, რომლებიც მოქმედებს აღნიშნული დამატებითი სერვისებისა და ანგარიშების მიმართ. მიჩნეული იქნება, რომ კლიენტის მიერ ზემოთქმულის მიუხედავად წამოწყებული ნებისმიერი ტრანზაქცია ან ქმედება განხორციელებულია

წინამდებარე ქვეპუნქტის შესაბამისად.

23.5 ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, კლიენტი საგანგებოდ აღიარებს, ესმის და თანახმაა, რომ მას წაკითხული აქვს ვებ-გვერდზე https://trader.ge/support/legal-documents/terms-and-conditions გამოქვეყნებული პირობები „გალტ ენდ თაგარტ თრეიდერის“ ანგარიშთან დაკავშირებით, ასევე ვებ-გვერდზე https://galtandtaggart.com/en/brokerage/service-agreements გამოქვეყნებული პირობები „გალტ ენდ თაგარტის“ საბროკერო ანგარიშთან დაკავშირებით, და ეთანხმება ამ პირობებს. კლიენტი აღიარებს და თანახმაა, რომ თუ კლიენტი მოითხოვს, გამოიყენებს ან მიიღებს „გალტ ენდ თაგარტის“ სერვისებს საბროკერო ან თრეიდერის ანგარიშებთან დაკავშირებით ან სხვაგვარად იმოქმედებს აღნიშნულ სერვისებთან და ანგარიშებთან დაკავშირებით, კლიენტის მიმართ სავალდებულო წესით იმოქმედებს წინამდებარე 23.5 პუნქტში მოხსენიებული შესაბამისი პირობები, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა წინამდებარე პირობების შეწყვეტა ან „კლიენტის“ საინვესტიციო ანგარიშის დახურვა. წინამდებარე 23.5 მუხლის მოქმედება გრძელდება და ინარჩუნებს ძალას წინამდებარე პირობების ნებისმიერი შეწყვეტის შემდგომაც.

23.6 „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნულის მიწოდება დაუყოვნებლივ ან იმ დროს, რომელ დროსაც განსაზღვრავს „გალტ ენდ თაგარტი“ აღნიშნულის შესასრულებლად. წინამდებარე ვალდებულების შეუსრულებლობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს კლიენტის ანგარიშის შეჩერება ან დახურვა.

23.7 წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები კუმულაციურია და არ გამორიცხავს კანონმდებლობით დადგენილ რომელიმე უფლებას და სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

23.8 კლიენტი თანახმაა და აცნობიერებს, რომ საინვესტიციო ანგარიშის გახსნა მოიცავს სხვა სერვისების მიმწოდებელთა სისტემებით სარგებლობას, რის მიმართაც მოქმედებს სერვისების აღნიშნული მიმწოდებლების პირობები. „გალტ ენდ თაგარტი“ შეიძლება არ წარმოადგენდეს კლიენტსა და სერვისების აღნიშნულ მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მხარეს. სერვისების ასეთმა მიმწოდებლებმა შეიძლება სხვა აგენტები დანიშნოს პირობების საფუძველზე სერვისების მისაწოდებლად. კლიენტი თანახმაა, რომ „გალტ ენდ თაგარტს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის მიერ განცდილ ზარალზე, რომელიც მას მიადგა აღნიშნული პირებისა თუ სერვისების მიმწოდებლების რაიმე ქმედების, უმოქმედობის, თაღლითობის, დაუდევრობის, გადახდისუუნარობისა და მათი მხრიდან დაყოვნების მიზეზით.

23.9 „გალტ ენდ თაგარტის“ მხრიდან კანონმდებლობით ან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების, უფლებამოსილებისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოუყენებლობა, ან მათი ნაწილობრივი თუ ნაკლოვანი გამოყენება:

23.8.1. არ შელახავს და არ შეუშლის ხელს ამგვარი უფლების, უფლებამოსილებისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალების მომავალ ან სხვა სახით გამოყენებას; ან

23.8.2. არ გულისხმობს ამგვარ უფლებაზე, უფლებამოსილებასა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე უარის თქმას.

23.10 პირობების რომელიმე მუხლის შეუსრულებლობის შესახებ განცხადებაზე უარი (თუ ამაზე გარკვევით არ დათანხმდა წერილობითი სახით მხარე, რომელიც უარს აცხადებს) არ უნდა იქნეს გაგებული როგორც უარი იმავე მუხლის მომავალ დარღვევაზე ან კონკრეტული დარღვევის გაგრძელების უფლების მიცემა.

23.11 წინამდებარე დოკუმენტით კლიენტი ადასტურებს „გალტ ენდ თაგარტთან“ ყველა ტრანზაქციას (მათი არებობის შემთხვევაში), რომელიც დადებული იქნა კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებზე დათანხმებამდე, და თანახმაა, რომ კლიენტის უფლებები და ვალდებულებები აღნიშნულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით იმართებოდეს წინამდებარე პირობებით.

23.12 კლიენტს უნდა შეეძლოს „გალტ ენდ თაგარტთან“ ურთიერთობა ქართულ, ინგლისურ ან ნებისმიერ სხვა ენაზე, როგორც ამას „გალტ ენდ თაგარტი“ შესთავაზებს დროდადრო. საინვესტიციო მოდული ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ან ინგლისურ ენებზე. კლიენტი აღიარებს და თანახმაა, რომ ანგარიშის ამონაწერები, ვაჭრობის დადასტურებები ან დამოუკიდებელი ბროკერის მიერ საინვესტიციო მოდულის მეშვეობით მიწოდებული ზოგიერთი სხვა ინფორმაცია იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

23.13 „გალტ ენდ თაგარტმა“ ან მესამე პირებმა კლიენტს შეიძლება მიაწოდონ პირობების თარგმანი. კლიენტისა და „გალტ ენდ თაგარტისთვის“ იურიდიულად მავალდებულებელი არის მხოლოდ ინგლისური ორიგინალი ვერსია. ინგლისურ ორიგინალ ვერსიასა და კლიენტის ხელთ არსებულ თარგმანებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ორიგინალ ვერსიას, რომელიც კლიენტს „გალტ ენდ თაგარტმა“ მიაწოდა.

23.14 კლიენტი აცნობიერებს, რომ „გალტ ენდ თაგარტი“ შესაძლოა დახურული იყოს ქართულ და აშშ-ის დღესასწაულებზე.

საკომისიოებისა და გადასახდელების ცხრილი[1]*

სერვისის ტიპი	საკომისიო	შენიშვნა
ფულადი სახსრების დეპონირება	$0	
ფულადი სახსრების გატანა	$0	
ანგარიშის გახსნა	$0	
ვაჭრობა (გარდა penny	ტრანზაქციის ღირებულების 0.3%	თუ დავალება იდება საინვესტიციო მოდულში ინსტრუმენტის რაოდენობის მითითებით (ნაცვლად ტრანზაქციის ღირებულების მითითებისა), მაშინ

stock-ებისა[2])	(მინ. $0.5, მაქს. $40)	შესაბამისი საკომისიოს გამოთვლა მოხდება შემდეგის გათვალისწინებით: • **მყიდველის/გამყიდველის ფასი[3]**, თუ დავალება იდება ბაზრის საათების განმავლობაში; • **დახურვის ფასი4**, თუ დავალება იდება ბაზრის საათების დასრულების შემდგომ.
ვაჭრობა *ე.წ.* penny stock-ებით	$0.02 თითო ინსტრუმენტზე (მინ.$0.5, მაქს. ტრანზაქციის ღირებულების 1.5%)	თუ დავალება იდება საინვესტიციო მოდულში ტრანზაქციის ღირებულების მითითებით (ნაცვლად ინსტრუმენტის რაოდენობის მითითებისა), მაშინ შესაბამისი საკომისიოს გამოთვლა მოხდება შემდეგის გათვალისწინებით: • **მყიდველის/გამყიდველის ფასი**, თუ დავალება იდება ბაზრის საათების განმავლობაში; • **დახურვის ფასი**, თუ დავალება იდება ბაზრის საათების დასრულების შემდგომ.
ანგარიშის წარმოების ყოველთვიური გადასახდელი	0.01% of AUC[5] (მინ. $0.5[6])	თუ ანგარიშის გახსნა მოხდება თვის 20 რიცხვამდე, ანგარიშის წარმოების ყოველთვიური გადასახდელი ჩამოიჭრება სრულად; ხოლო თუ ანგარიშის გახსნა მოხდება თვის 20 რიცხვის (მათ შორის 20 რიცხვშიც) შემდეგ, მაშინ ანგარიშის წარმოების ყოველთვიური გადასახდელი არ ჩამოიჭრება; თუ ანგარიშის დახურვა მოხდება თვის 20 რიცხვამდე, მაშინ ანგარიშის წარმოების ყოველთვიური გადასახდელი არ ჩამოიჭრება; თუ ანგარიშის დახურვა მოხდება თვის 20 რიცხვის (მათ შორის 20 რიცხვშიც) შემდეგ, მაშინ ანგარიშის წარმოების ყოველთვიური გადასახდელი ჩამოიჭრება სრულად.

1. ცხრილში მითითებული საკომისიოები და გადასახდელები არ მოიცავს დღგ-ს ან სხვა შესაბამის გადასახადებს, მათი არსებობის შემთხვევაში. ნებისმიერ ამგვარ დამატებით გადასახადებს გადაიხდის კლიენტი.
2. Penny stock ნიშნავს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა საბაზრო ვაჭრობის ფასია 5 აშშ დოლარი ან ნაკლები.
3. მყიდველის ფასი (*ე.ი.* ის მინიმალური ფასი, რა ფასადაც გამყიდველი მზად არის გაყიდოს ინსტრუმენტი) ნიშნავს იმ მყიდველის ფასს, რომელიც მითითებულია საინვესტიციო მოდულში ყიდვის დავალების დადების მომენტში; გამყიდველის ფასი (*ე.ი.* ის მაქსიმალური ფასი, რა ფასადაც მყიდველი მზად არის იყიდოს ინსტრუმენტი) ნიშნავს გამყიდველის ფასს, რომელიც მითითებულია საინვესტიციო მოდულში გაყიდვის დავალების დადების მომენტში.

4. <u>დახურვის ფასი (*ე.ი.* წინა დღის ბაზრის საათების დახსრულებისას დაფიქსირებული ინსტრუმენტის ფასი) ნიშნავს იმ დახურვის ფასს, რომელიც მითითებულია საინვესტიციო მოდულში ყიდვის/გაყიდვის ორდერის დადების მომენტში.</u>
5. AUC ნიშნავს პასუხისმგებელი მეურვეობის ქვეშ მყოფ კლიენტის აქტივებს (მათ შორის ფასიან ქაღალდებს, ფულად სახსრებს ან ნებისმიერ სხვა აქტივებს), რომლებიც ინახება კლიენტის ანგარიშზე დამოუკიდებელ ბროკერთან. AUC-ის დაანგარიშება ხდება თვის ჭრილში საშუალო თვიური AUC-ის საფუძველზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ „კლიენტის“ „ანგარიშზე“ რომელიმე კონკრეტული თვის ჭრილში AUC უდრის 0-ს, კლიენტს არ დაეკისრება შესაბამისი კონკრეტული თვის მინიმუმი ანგარიშის წარმოების ყოველთვიური გადასახდელი.